ევროკავშირი
საქართველოსთვის

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მოსახლეობის ინფორმირებულობისა და განწყობების კვლევა სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების მიმართ

ანგარიში მოამზადა:

მარინა იმერლიშვილი

ხათუნა ნაჭყებია

ქეთევან ხარატიანი

2023

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

დათქმა

ეს კვლევის ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურსცენტრთან (SGRC) ერთად, და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

Contents

შესავალი 8

შემოკლებების და აბრევიატურების სია 9

შეჯამება 10

კვლევის მიზანი და ამოცანები 14

მეთოდოლოგია 14

- გამოყენებული კვლევის მეთოდები 14
- ფოკუს ჯგუფი 14
- გამოკითხვა 14
  - კვლევის ინსტრუმენტი 14
  - გამოკითხვის ჩატარება 16
  - რაოდენობრივი შერჩევის დიზაინი 16
  - რესპონდენტების განაწილება დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით 17

გამოკითხვის შედეგები 20

- ეკონომიკური მდგომარეობა 20
- სამოქალაქო მონაწილეობა 21
- ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) 32
- სახელმწიფო სერვისები 35
- სახელმწიფო პროგრამები და დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტები 47
- ბიზნესის კეთება/სამეწარმეო საქმიანობა 56
- დაბრუნებული მიგრანტების / ემიგრაციაში მყოფი პირების საჭიროებები 62

ფოკუს ჯგუფების შედეგები 65

- სამოქალაქო აქტივობა და მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი პრობლემების გამოვლენასა და გადაწყვეტაში 65
- ეკონომიკური გაძლიერების დონორების მიერ დაფინანსებული და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის მაგალითები, და არსებული ბარიერები 71
- ბიზნეს ინიციატივები, ბიზნესის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. 74
- ბიზნესის პერსპექტიული სფეროები რეგიონში 78
- ინფორმირებულობა ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ 80

რეკომენდაციები 81

დანართი 1. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები/ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი..... 83

დანართი 2 . დასაქმების სტატუსი / სოფლის / უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. 83

დანართი 3. დასაქმების სტატუსი / ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება..... 84

დანართი 4. დასაქმების სტატუსი/ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ 85

დანართი 5. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე? 86

დანართი 6. სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილება..... 87

დანართი 7. სახელმწიფო სერვისის მიღების სიმარტივე..... 88

დანართი 8. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურების ხარისხი..... 89

დანართი 9. რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას ენდობით ყველაზე მეტად?..... 90

დანართი 10. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით? 91

დანართი 11. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო..... 92

დანართი 12. ბიზნეს საქმიანობის სფეროები 94

ცხრილი 1. რესპონდენტთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 1 17
ცხრილი 2. რესპონდენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 5 17
ცხრილი 3. რესპონდენტთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით. კითხვა 6 18
ცხრილი 4. განათლების მიღწეული საფეხური. კითხვა 10 18
ცხრილი 5. ოჯახის წევრთა რაოდენობა. კითხვა 11 19
ცხრილი 6. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. კითხვა 7 20
ცხრილი 7. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი. კითხვა 8 20
ცხრილი 8. სპეციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთა განაწილება. კითხვა 9..... 21
ცხრილი 9. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 12 23
ცხრილი 10. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით. კითხვა 12..... 23
ცხრილი 11. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. სულ. კითხვა 14 23
ცხრილი 12. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 16 27
ცხრილი 13. თანაბრად არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში ქალების და მამაკაცების ინტერესები? განაწლება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 19. 31
ცხრილი 14. რამადენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? სულ. კითხვა 21 32
ცხრილი 15. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 23 33
ცხრილი 16. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 23..... 34
ცხრილი 17. თქვენი აზრით რამდენად შეუწყობს ხელს/დაეხმარება ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, ქალები) მონაწილეობას თემის/სოფლის განვითარებაში? განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 24 34
ცხრილი 18. თქვენი აზრით რამდენად შეუწყობს ხელს/დაეხმარება ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, ქალები) მონაწილეობას თემის/სოფლის განვითარებაში? განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 24 35
ცხრილი 19. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. კითხვა 25..... 36
ცხრილი 20. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 25 36
ცხრილი 21. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისების შესახებ გსმენიათ? კითხვა 26 37

ცხრილი 22. საიდან გაქვთ ინფორმაცია სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ? განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რამდენიმე პასუხის არაჩევის შესაძლებლობა. კითხვა 27. 39
ცხრილი 23. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე? 39
ცხრილი 24. როგორ შეაფასებდით რამდენად ობიექტურია მოქალაქეების მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობა როგორც სერვისის გამცემი ორგანიზაცია? კითხვა 35 41
ცხრილი 25. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით? 41
ცხრილი 26. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო? 42
ცხრილი 27. ტრენინგების პრიორიტეტულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 39 ბ 43
ცხრილი 28. პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა - პრიორიტეტულობა 39 ბ 43
ცხრილი 29. რამდენად ხელმისაწვდომია ქვემოთ ჩამოთვლილი ინფრსტუქტურა. სულ. კითხვა 41ა 44
ცხრილი 30. რამდენად პრიორიტეტულია თქვენი სოფლისთვის/თემისთვის ჩამოთვლილი ინფრასტუქტურა. სულ. კითხვა 41ბ 45
ცხრილი 31. სახელმწიფო პროგრამები, რომელთა შესახებ სმენიათ. სულ. შეხსენებით. კითხვა 44 47
ცხრილი 32. გსმენიათ თუ არა საერთაშორისო /დონორი / არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ? სულ. კითხვა 45 47
ცხრილი 33. რომელი არასამთავრობო ორგანიზაცების შესახებ გსმენიათ, რომლებიც მუშაობენ თქვენს რეგიონში? სულ. სპონტანური დასახელება. კითხვა 46 49
ცხრილი 34.. გსმენიათ თუ არა ჩამოთვლილ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ? სულ. შეხსენებით. კითხვა 47 50
ცხრილი 35. რომელი დონორი / საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ გსმენიათ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც ხორციელდება პროექტები თქვენს რეგიონში? პროექტი/ორგანიზაცია. სულ. სპონტანურად. კითხვა 48 51
ცხრილი 36. გსმენიათ თუ არა შემდეგი დონორი / საერთაშორისო ორგანიზაცების შესახებ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც ხორციელდება პროექტები თქვენს რეგიონში? (შეხსენებით). კითხვა 49 52
ცხრილი 37. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს სახელმწიფო /დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. სულ. კითხვა 50 52
ცხრილი 38. პირადად თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს მიუღია თუ არა რაიმე საგრანტო კონკურსში მონაწილეობა? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა. კითხვა 51 53
ცხრილი 39. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობ. კითხვა 52 54
ცხრილი 40. რომელ სფეროში საქმიანობთ? სულ. კითხვა 57 56
ცხრილი 41. ბიზნესი დაიწყეთ: კითხვა 58 57

ცხრილი 42. თქვენი აზრით, რამდენად ადვილია თქვენს რეგიონში ბიზნესის წარმოება? განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 62 59
ცხრილი 43. რამდენად ინფორმირებული ხართ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ? სულ. კითხვა 65 60
ცხრილი 44. რამდენად ინფორმირებული ხართ ტურიზის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ. სულ. კითხვა 66 61
ცხრილი 45. რამდენად ინფორმირებული ხართ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების შესახებ?სულ. კითხვა 67 62
ცხრილი 46. კროსტაბულაცია ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები/ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი. კითხვა 7-8 83
ცხრილი 47. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი / სოფლის / უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. კითხვა 6-12 83
ცხრილი 48. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი / ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. კითხვა 6 -16 84
ცხრილი 49. ბიზნეს სექტორის წარმომადგენელები 54
ცხრილი 50. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები 55
ცხრილი 51. სოფლის / თემის აქტიური წევრი 56
ცხრილი 52. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი/ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ კითხვა 6/25 85
ცხრილი 53. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე? 86
ცხრილი 54. სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილება 87
ცხრილი 55. სახელმწიფო სერვისის მიღების სიმარტივე 88
ცხრილი 56. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურების ხარისხი 89
ცხრილი 57. რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას ენდობით ყველაზე მეტად? 90
ცხრილი 58. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით? 91
ცხრილი 59. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო 92
ცხრილი 60. საქმიანობის სფეროები. სულ. 94

დიაგრამა 1. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. სულ. კითხვა 12 21
დიაგრამა 2. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. საშუალო ქულა. კითხვა 12 22
დიაგრამა 3. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 14 24
დიაგრამა 4. სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა. სულ. კითხვა 15 25
დიაგრამა 5. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. სულ. კითხვა 16 26

დიაგრამა 6. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 16 26
დიაგრამა 7. გაცნობიხართ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტს? სულ. კითხვა 17 27
დიაგრამა 8. გაცნობიხართ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტს? განწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 17 28
დიაგრამა 9. თქვენი აზრით გათვალისწინებულია თუ არა ბიუჯეტში თქვენნაირი ადამიანების საჭიროებები? კითხვა 18 29
დიაგრამა 10. თანაბრად არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში ქალების და მამაკაცების ინტერესები? სულ. კითხვა 19. 30
დიაგრამა 11. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. სულ. კითხვა 23 33
დიაგრამა 12. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. სულ. კითხვა 25 35
დიაგრამა 13. საიდან გაქვთ ინფორმაცია სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ? სულ. რამდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა.კითხვა 27 38
დიაგრამა 14. დაგაინტერესებდათ თუ არა მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ კონკურსში მონაწილეობა? სულ. კითხვა 53 54
დიაგრამა 15. რა შემთხვევაში მიიღებდით მონაწილეობას საგრანტო კონკურსში, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაზე. კითხვა 54 55
დიაგრამა 16. როგორ შეიცვლება თქვენი ბიზნესი მომავალი 1-3 წლის განმავლობაში 57
დიაგრამა 17. თქვენი აზრით, რამდენად ადვილია თქვენს რეგიონში ბიზნესის წარმოება? სულ. კითხვა 62 58
დიაგრამა 18. რა გიშლით თქვენ ხელს ბიზნესის დაწყებაში?სულ. კითხვა 63 59
დიაგრამა 19. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები შეგიწყობდათ ხელს ბიზნესის დაწყებაში? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა. კითხვა 64 59
დიაგრამა 20. გყავთ თუ არა ოჯახში ემიგრანტი ან ყოფილი ემიგრანტი? სულ. კითხვა 69 63
დიაგრამა 21. ემიგრანტების საშუალო ასაკი 63
დიაგრამა 22. რამდენად სავარაუდოა, რომ თქვენი ოჯახის წევრი ახლო მომავალში (1-2 წელი) დაბრუნდება ემიგრაციიდან? 64

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „მთიანი საქართველოს ახალი სიცოცხლის" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის ცენტრსა და ჰააგის ადგილობრივი მმართველობის აკადემიასთან ერთად. კვლევა განახორციელა გამოყენებითი კვლევების კომპანია ეი არ სიმ (ARC).

კვლევის მიზანი იყო სამიზნე რეგიონის მოსახლეობის ცოდნა/ინფორმირების, განწყობების და ქცევის პრაქტიკების შესწავლა ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა სამეწარმეო საქმიანობა, სახელმწიფო სერვისები, მონაწილეობითი პროცესები, მთავრობის / დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები. კვლევის ფარგლებში ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარის ოთხივე მუნიციპალიტეტში. სულ გამოიკითხა 1000 რესპონდენტი. გარდა ამისა კვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფი.

კვლევა განხორციელდა 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდში.

კვლევის ძირითადი მიგნებები დაეხმარება განმახორციელებელ გუნდს პროექტის ეფექტიანად განხორციებაში. კვლევის შედეგები ასევე შეიძლება განხილული იქნას როგორც ბაზისური კვლევა, პროექტის დასრულების შემდეგ ანალოგიური კვლევის განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსახლეობის განწყობების ცვლილების გაზომვა.

შემოკლებების და აბრევიატურების სია

იხ. - იხილეთ

წ. - წლის

ENPARD - European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development

FAO- The Food and Agriculture Organization of the United Nations (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია)

GITA – Georgia’s Innovation & Technology Agency (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო)

GRETA - Green Economy: Sustainable Mountaun Tourism & Organic Agriculture (მწვანე ეკონომიკა: მდგრადი სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა)

LAG - Local Action Groups (ადგილობრივი განვითარების ჯგუფები)

NEO – New Economic Opportunities Initiative (ახალი ეკონომიკური შსაძლებლობების ინიციატივა)

UNICEF - The United Nations Children's Fund
USAID - The U.S. Agency for International Development (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო)

GIZ – Deutche Gesellschaft fur Internationale Zusammenarbeit (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)

შეჯამება

სამოქალაქო მონაწილეობა

კვლევის შედეგების მიხედვით, სამიზნე რეგიონში მოსახლეობა ძირითადად პასიურია, მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 5 საფეხურიან აღმავალ სკალაზე 2.26 ქულაა, რაც საშუალოზე დაბალი მაჩვენებელია. რესპონდენტების მხოლოდ 8.2% არის აქტიურად ჩართული სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში, ხოლო მესამედზე მეტს, 38.7%-ს საერთოდ არ აინტერესებს პრობლემების მოგვარებაში ჩართვა. თემის პრობლემების მოგვარებაში უფრო აქტიურად არიან ჩართულნი 46-55 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები, ყველაზე პასიურები კი 18-24 წლის ახალგაზრდები არიან. ქალები უფრო აქტიურები არიან, ვიდრე კაცები (2.61 vs 2.1 ქულა). სამოქალაქო აქტივობის ხარისხით ლენტეხის მოსახლეობა სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით აქტიურია, თუმცა 5 საფეხურიან სკალაზე სამოქალაქო აქტივობის დონე საშუალოს მცირედ აღემატება (mean=2.79). დანარჩენ სამიზნე მუნიციპალიტეტებში აქტივობა უფრო დაბალია: ცაგერი (mean=2.41), ონი (mean=2.20) ხოლო ამბროლაური (mean=1.96).

ფოკუს-ჯგუფების შედეგების მიხედვით, სამოქალაქო აქტივობის ინიციატივები მცირეა ან არ არსებობს, აქტიურობა ძირითადად ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ან დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში. პასიურობის მიზეზებად არაინფორმირებულობა, საკუთარი უფლება-მოვალეობების არცოდნა, რეგიონის დემოგრაფიული სპეციფიკა (ასაკოვანი მოსახლეობის სიჭარბე) სახელდება. აქტიური ადამიანების მხოლოდ მცირე ჯგუფები არსებობს, რომლებსაც აქვთ უნარი რომელიმე თემის გარშემო გააერთიანონ მოსახლეობა. მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული საჯარო განხილვებში მონაწილეობა ფორმალურია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობის მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იცავს ფორმალურ ვალდებულებას და მოსახლეობას იწვევს ბიუჯეტის განხილვაზე. სოფლებში ტარდება სოფლის კრებები და ხდება მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა, თუმცა მონაწილეთა ნაწილის აზრით, მაინც ხერხდება ისე, რომ სოფლის კრებაზე სელექციურად მოვიდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ნაკლებად კრიტიკული იქნება შეთავაზებული საკითხის მიმართ.

გამოკითხვის შედეგები ადასტურებს ოთხივე მუნციპალიტეტში მოქალაქეთა გაცილებით მეტ აქტიურობას და მონაწილეობას თემის/სოფლის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ვიდრე მუნიციპალიტეტის და რეგიონის დონეზე. სოფლის დონეზე გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობად რესპონდენტები ძირითადად სოფლის საერთო კრებებზე დასწრებას მიიჩნევენ. სწორედ ამ აქტივობას ასახელებს გამოკითხულთა 51.2%. რესპონდენტები საკუთარ, როგორც მოქალაქის გავლენას ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტი, მერია, საკრებულო) გადაწყვეტილებებზე საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევენ: 5 საფეხურიან სკალაზე, პასუხების საშუალო მაჩვენებელი მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან 1.93 ქულაა.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51.7%) თვლის, რომ არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე, 17.5% კი ფიქრობს, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია გავლენის მოხდენა. ქალები, მიუხედავად აქტივობის უფრო

მაღალი ხარისხისა კაცებთან შედარებით, უფრო პესიმისტურად არიან განწყობილნი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიმართ, ვიდრე კაცები: ქალების შეფასების საშუალო ქულა მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან 1.89-ია, კაცების - 2.02.

სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა

სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობის საშუალო მაჩვენებელი 3.04 ქულაა 5-საფეხურიან სკალაზე. 35.5% მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია, 20.3% ინფორმირებული, 12.8% სრულად ინფორმირებული. ყველაზე ინფორმირებულები არიან 26-45 და 56-65 წლის ასაკობრივი ჯგუფები. ქალები უფრო ინფორმირებულები არიან, ვიდრე კაცები (3.09 vs 2.92 ქულა). მუნიციპალიტეტებს შორის ცაგერში ყველაზე მაღალია ინფორმირებულობა (3.44 ქულა). ლენტეხში ეს მაჩვენებელი 3.37, ამბროლაურში 2.87, ხოლო ონში 2.53-ია. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები სოციალური ქსელები (71%) და ეროვნული დაფარვის ტელევიზიებია (62.4%). რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც მაღალი ხარისხის მომსახურება აქვთ. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი რესპონდენტი თვლის, რომ მომსახურების მაღალი ხარისხი აქვს იუსტიციის სახლს (408 რესპონდენტი), სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებს (168 რესპონდენტი), განათლების სისტემის სტრუქტურებს (35 რესპონდენტი), საჯარო რეესტრს (30 რესპონდენტი), მერიას/მუნიციპალიტეტს (20 რესპონდენტი), სოციალურ სააგენტოს (20 რესპონდენტი).

ადგილობრივი თვითმართველობის, როგორც სერვისის გაცემის მოქალაქეებისადმი ობიექტურობას ყოველი მეხუთე რესპონდენტი (21.1%) ძალიან დადებითად აფასებს. 28.5% თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა გამონაკლის შემთხვევებში ანიჭებს მოქალაქეებს პრიორიტეტებს რაიმე ნიშნით. მეოთხედზე ოდნავ მეტი, 25.7% თვლის, რომ ხშირად ხდება მოქალაქეებისთვის გარკვეული პრიორიტეტის მინიჭება სერვისის გაცემისას, 4.8% კი თვლის, რომ უსამართლოდ, რაიმე ნიშნით პრიორიტეტის მინიჭება მოქალაქეებისთვის გავრცელებული პრაქტიკაა. სერვისი, რომლის საჭიროება არსებობს თემში/სოფელში და ვერ აწვდის სახელმწიფო[1], რესპონდენტებმა პირველ რიგში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, ბუნებრივი აირით მოსახეობის უზრუნველყოფა, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, სანაღვრეების მოწყობა მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაასახელეს.

სახელმწიფო პროგრამები და დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტები

დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა სახელმწოფო და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამების შესახებ. სახელმწიფო პროგრამებიდან რესპონდენტებს ძირითადად „აწარმოე საქართველოსა“ და სოფლის განვითარების პროგრამის შესახებ სმენიათ, შესაბამისად 398 და 46 რესპონდენტს. 6 რესპონდენტმა დაასახელა „დანერგე მომავალი“, თითოჯერ დასახელდა GITA, მუნიციპალური განვითარების და სახელმწიფო დასაქმების

[1] ღია კითხვა

პროგრამა. რესპონდენტებს უჭირს შეხსენების გარეშე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასახელება. შეხსენების შემდეგ ყველაზე მაღალია ევროკავშირის, USAID -ს პროგრამების ცნობადობა. როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო დონორების მიერ განხორციელებული პროექტებს მაღალ შეფასებას აძლევენ რესპონდენტები და თვლიან რომ: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში (დებულებას ეთანხმება ან მეტ-ნაკლებად ეთანხმება 88.1%), სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას (დებულებას ეთანხმება ან მეტ-ნაკლებად ეთანხმება 90.1%), საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში (დებულებას ეთანხმება ან მეტ-ნაკლებად ეთანხმება 88.3%), საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში (დებულებას ეთანხმება ან მეტ-ნაკლებად ეთანხმება 89%)

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონორების და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროექტებს მაღალი შეფასება აქვს, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში გამოკითხულთაგან მხოლოდ 19.8%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული, საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში კი გაცილებით ნაკლებს: შესაბამისად1.80% და 0.5%. ამ შედეგები მიზეზად სახელდება ინტერესის უქონლობა (50.4%). პასუხების თითქმის მეხუთედი (19.9%) მიუთითებს საგრანტო იდეის უქონლობაზე, კონკურსების შესახებ ინფორმაციის უქონლობა დასახელდა პასუხების 14%-ის შემთხვევაში. პასუხების 12.1%-ის მიხედვით რესპონდენტებს აქვთ უნდობლობა შერჩევის პროცესისადმი. 4.4%-ს არ ჰქონდა საგრანტო განაცხადის დაწერის უნარ-ჩვევები, 3% კი არ აკმაყოფილებდა საგრანტო პირობებს. სამომავლოდ, საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მზაობას 44.8% გამოთქვამს. ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში მონაწილეობის მთავარი დაბრკოლება 64.4%-სთვის საწყისი კაპიტალის უქონლობაა, 25.4%-სთვის მაღალი პროცენტი საბანკო კრედიტებზე, 14.6% თვის კი, არასაკმარისი ცოდნა და უნარები.

ბიზნესის კეთება/სამეწარმეო საქმიანობა

რესპონდენტების უმრავლესობისთვის ბიზნესის კეთება მათ რეგიონში ძალიან რთული (37.5%), ან რთულია (25.6%). 29.3%-სთვის მეტნაკლებად რთული. მხოლოდ 7.6%-სთვის არის ბიზნესის წარმოება რეგიონში ადვილი ან ძალიან ადვილი. გამოკითხულთა უმეტესობას (88.4%) არ აქვს ბიზნესის წარმოების/მეწარმეობის გამოცდილება, გამოკითხულთა ნახევარს არასოდეს უფიქრია ბიზნესის წამოწყებაზე, 39.9%-ს უფიქრია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა.

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობისთვის რთულია ბიზნესის წარმოება რეგიონში, რეგიონს ბიზნესის წარმოების კუთხით მაინც პერსპექტიულად მიიჩნევენ. ბიზნესის წარმოებისთვის ხელისშემშლელად დასახელდა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განუვითარებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების განკარგვის წესები. საჭიროდ მიიჩნევა იაფი კრედიტი, ბიზნესის სუბსიდირება და გასაღების ბაზარზე ადგილობრივი

პროდუქციის გატანის ხელშეწყობა. ბიზნეს ინიციატივების ხელისშემშლელად ასევე სახელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი რიცხვი და „არაგონივრული სოციალური პოლიტიკა“. სოციალურად დაუცველთა ნაწილს შესწევს უნარი აწარმოოს მცირე ბიზნესი, ან დასაქმდეს ბიზნესის სფეროში, მაგრამ სტატუსის მოხსნის შიშით არ იჩენს ინიციატივას და რჩება „სტაბილური სოციალური შემწეობის კომფორტში“ ასეთი შემთხვევების სიმრავლე, საბოლოოდ თემის განვითარებასაც აფერხებს.

ბიზნესის პერსპექტიული სფეროები რეგიონში მოსახლეობის აზრით შემდეგია:

1. ტურიზმი;
2. მევენახეობა და მეღვინეობა;
3. ხე-ტყის წარმოება;
4. ბალნეოლოგიური და სამედიცინო ტურიზმი;
5. მესაქონლეობა;
6. მეფუტკრეობა;
7. გამოყენებითი რეწვა;
8. მომსახურება.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG)

LAG-ების შესახებ ინფორმირებულობა დაბალია: 87.9%-ს არ სმენია LAG-ების შესახებ. 3% კარგად ინფორმირებულია, 9.1%-ს სმენია, მაგრამ არ იცნობს მათ საქმიანობას. მათგან, ვისაც სმენია ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ, 70% დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში. მათ შორის, ვისაც აქვს ინფორმაცია LAG-ების შესახებ, MPARD_ის პროექტის ფარგლებში ინოვაციებისა და რეფორმების მიერ წარმოებულ შეხვედრებიდან მიიღეს.

მთლიანობაში მონაწილეთა უმეტესობა პოზიტიურ მოლოდინებს გამოთქვამს LAG-ების მომავალი საქმიანობის შესახებ. მას ვისაც სმენია LAG-ების შესახებ, უმეტესობა ეთანხმება დებულებებს: ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნა სარგებელს მოუტანს მუნიციპალიტეტს (mean=3.55), ადგილობრივი განვითარების ჯგუფი გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას სოფლის/მუნიციპალიტეტის განვითარებაში (mean=3.54), თუ ჩვენს მუნიციპალიტეტში შეიქმნება LAG-ი, მენდომებოდა ვყოფილიყავი მისი წევრი (mean=3.3). ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მონაწილეები თვლიან, რომ LAG-ები მნიშვნელოვანი აქტორები გახდებიან ადგილობრივი პრობლემების მოგვარების, გრანტების მოზიდვის და რეგიონის პოპულარიზაციის საქმეში. LAG-ებში გაწევრიანების სურვილი აქვთ სამოქალაქოდ აქტიურ ადამიანებს და ხედავენ საკუთარ როლს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართულებით. LAG-ებში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა გაერთიანებას ცალსახად დადებითად აფასებს მოსახლეობა და თვლიან, რომ ასეთი გაერთიანება საუკეთესო მექანიზმი იქნება მოსახლეობის ინტერესების ადვოკატირებისთვის ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის საჯარო სერვისებთან წვდომის საჭიროებების, აღქმებისა და გამოცდილების, ადგილზე სამეწარმეო საქმიანობის (მათ შორის სოფლის მეურნეობის) მიმართულებით არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების, ასევე რეგიონში განხორციელებული მონაწილეობითი პროცესების/ინიციატივებისა და მთავრობის/სხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მიმართ ინფორმირების ხარისხისა და განწყობების გამოვლენა.

მეთოდოლოგია

გამოყენებული კვლევის მეთოდები

კვლევის ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებული იქნა ინფორმაციის მოძიების როგორც რაოდენობრივი ისე თვისებრივი მეთოდები:

- ფოკუს ჯგუფი
- პირისპირ ინტერვიუ სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით

ფოკუს ჯგუფი

თითეოულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა 1 ფოკუს ჯგუფი (სულ 4). სულ ოთხივე ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა იყო 37. ტერიტორიულად ფოკუს ჯგუფი ჩატარდა მუნიციპალურ ცენტრებში განთავსებულ საზოდოებრივი ცენტრების შეხვედრების ოთახებში. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რეკრუტირებისთვის გამოვიყენეთ მოკლე ტექსტური შეტყობინების დაგზავნის ფორმა. კომპანია MS Group-მა უზრუნველყო სამიზნე მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებთან SMS-ის სახით ფოკუს ჯგუფში მონაწილეობის მოსაწვევის დაგზავნა. დაინტერესებულმა პირებმა შეავსეს დასწრების ფორმა. კვლევის გუნდი მითითებულ ტელეფონის ნომრებზე დაუკავშირდა მონაწილეობის მსურველებს და შეატყობინა შეხვედრის ზუსტი დრო და ადგილი.

გამოკითხვა

კვლევის ინსტრუმენტი

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარის ბლოკები შედგენილი იყო კვლევის ამოცანების შესაბამისად. კითხვარის შედგებოდა 77 კითხვისგან, კითხვარის შევსებას საშუალოდ სჭირდებოდა 30-40 წთ . კითხვარი უმეტესად იყო დახურული კითხვებისგან შემდგარი, თუმცა ამათუიმ საკითხის შესახებ ინფორმირებულობის დასადგენად მოცემული იყო ღია კითხვებიც, რომელზეც რესპონდენტებს თავად უნდა უპასუხათ.

კითხვარის ე.წ. დემოგრაფიული ბლოკი შედგებოდა შემდეგი ცვლადებისგან:

- ასაკი

- სქესი
- დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი)
- დასაქმების სტატუსი
- განათლება
- ემიგრანტის სტატუსი (ოჯახში ჰყავთ თუ არა ემიგრანტი ან ყოფილი ემიგრანტი)
- ოჯახის ზომა
- სპეციალური სტატუსი (სოციალურად დაუცველი, შშმ პირი)

დემოგრაფიული კითხვების გარდა კითხვარი მოიცავდა შემდეგ ბლოკებს:

- **სამოქალაქო მონაწილეობა**
    - ***ცოდნა/ინფორმირებულობა*** - რამდენად არიან ინფორმირებულები მონაწილეობის ფორმების და შესაძლებლობების შესახებ? სმენიათ თუ არა ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ (LAG)?
    - ***დამოკიდებულება*** - რამდენად აქვთ იმის რწმენა რომ სამოქალაქო მონაწილეობა შედეგიანი იქნება? ადგილობრივ დონეზე ვის მიმართ (პიროვნებები / ინსტიტუციები/ორგანიზაციები) აქვთ ნდობა? როგორია მათი დამოკიდებულება ადგილობრივი განვითარების ჯგუფების მიმართ (LAG)?
    - ***ქცევის პრაქტიკა*** - რამდენად არიან ჩართულები სამოქალაქო მონაწილოებით პროცესებში, რა ფორმით;
- **სახელმწიფო სერვისები**
    - ***ცოდნა/ინფორმირებულობა*** - რამდენად არიან ინფორმირებულები სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ, მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი სერვისების შესახებ?
    - ***დამოკიდებულება*** - რამდენად არიან კმაყოფილები სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისებით, რამდენად აქვთ ნდობა სახელმწიფო სერვისების მიმწოდებლებთან. თვლიან თუ არა რომ სამართლიანად ხდება ბენეფიციარებისთვის სერვისის მიწოდება (შერჩევა, განაწილება), რამდენად ხარისხიანია სერვისი.
    - ***ქცევის პრაქტიკა*** - რა სახის სახელმწიფო სერვისებია ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რა სერვისებით სარგებლობენ? რას ისურვებდნენ მომავალში.
- **ბიზნესის კეთება/სამეწარმეო საქმიანობა**
    - ***ცოდნა/ინფორმირებულობა*** - რამდენად ინფორმირებულები არიან მცირე ბიზნესის ხელშემწობი ინიციატივების შესახებ (დონორი ორგანიზაციები, სახელმწიფო პროგრამები), რა სფეროებს თვლიან პერსპექტიულად? რა ფაქტორები უწყობს ხელს ბინზესის კეთებას?
    - ***დამოკიდებულება*** - რა დამოკიდებულება აქვთ ბიზნესის / სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიმართ? რამდენად თვლიან რომ მათთვის ეს შესაძლებელია, რა შეუწყობდა მათ ხელს ამ გადაწყვეტილების მიღებაში? რომელი ჯგუფები უფრო დიდი ალბათობით ექნებათ მზაობა დაიწყონ სამეწარმეო საქმიანობა?

- ***ქცევის პრაქტიკა*** - ბიზნესის კეთების რა გამოცდილება აქვს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელ სფეროში? იმ ადამიანების პროფილის შექმნა ვისაც აქვს ბიზნესის გამოცდილება.

- **სახელმწიფო პროგრამები და დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტები**
  - ***ცოდნა/ინფორმირებულობა*** - რა ინფორმაციას ფლობს მოსახლეობა ბოლო წლებში სახელმწიფოს, არასამთავრობო ორგანიზაციების და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ; კონკრეტულად რომელი ორგანიზაციების თუ პროექტების შესახებ სმენიათ? შეუძლია თუ არა დაასახელონ ორგანიზაციების / პროექტების დასახელებები?
  - ***დამოკიდებულება*** - როგორ აფასებენ სახელმწიფო/დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული მხარდამჭერი პროექტების სარგებლიანობას ზოგადად თემისთვის და მათთვის პირადად
  - ***ქცევის პრაქტიკა*** - მიუღიათ თუ არა მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამებში, არასამათავრობო ან დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში.

- **დაბრუნებული მიგრანტების / ემიგრაციაში მყოფი პირების საჭიროებები**
  - ***ცოდნა/ინფორმირებულობა*** - ემიგრაციიდან დაბრუნებული პირების რეინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ცოდნა
  - **დამოკიდებულება** - რამდენად მოელიან ემიგრანტების ოჯახის წევრები ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას უახლოეს ხანში, რა შეუწყობდა მათ დაბრუნებას ხელს; რა სახის ღონისძიებები შეუწყობს ხელს უკვე დარბუნებული პირების რეინტეგრაციას?
  - ***ქცევის პრაქტიკა*** - რამდენად სარგებლობენ რეინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამებით სამიზნე ჯგუფები

გამოკითხვის ჩატარება

კითხვარის სამუშაო ვერსიის პილოტირების შედეგად, დამკვე მხარესთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა კითხვარის საბოლოო ვერსია. გამოკითხვა ჩატარდა პლანშეტური კომპიუტერებით/სმარტ ტელეფონების მეშვეობით. ელექტრონული გამოკითხვისთვის კითხვარი საჭირო ფორმატში მომზადდა ODK პლატფორმაზე.

გამოკითხვის პროცესი მიმდინარეობდა, როგორც სამუშაო ისე დასვენების დღეებში.

რაოდენობრივი შერჩევის დიზაინი

სამიზნე ჯგუფი	სამიზნე რეგიონში მცხოვრები 18+ ასაკის მოსახლეობა
შერჩევის ტიპი	მრავალსაფეხურიანი კლასტერული (რაიონული) შერჩევა, შერჩევის საბოლოო დონეზე ალბათური შერჩევით
შერჩევის ზომა	1000 რესპონდენტი
შერჩევის ბაზა	რესპონდენტების მოძიების ინსტრუქცია, სოფლების/ ქალაქების რუკა

გეოგრაფიული არეალი	რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ოთხივე მუნიციპალიტეტი, როგორც ქალაქური, ისე სოფლის ტიპის დასახლებები.
შერჩევის ცდომილება	რეგიონის მასშტაბით შერჩევის ცდომილება არ აღემატება 3%-ს, 95%-იანი სანდოობის დონეზე. მუნიციპალიტეტების დონეზე შერჩევის ცდომილება 5%.

ცხრილში წარმოდგენილია რესპონდენტთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ცხრილი 1. რესპონდენტთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 1

მუნიციპალიტეტები	**გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა**
ამბროლაური	362
ონი	201
ცაგერი	297
ლენტეხი	140
ჯამი	1000

რესპონდენტების განაწილება დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით

გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების 20.7% ცხოვრობს ქალაქის ტიპის დასახლებაში, 2.9% დაბაში, ხოლო უმეტესობა, 76.4% წარმოადგენს სოფლის მაცხოვრებელს.

გამოკითხულთაგან 69.6% ქალია, 30.2% კაცი.

ასაკობრივი განაწილების მიხედვით გამოკითხულთა ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენენ 18-35 წლის რესპონდენტები (18-24წ. – 1.2%, 25-29წ. – 3.9%, 30-35წ. – 7.8%), რესპონდენტების მეხუთედი (20%) 36-45 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (24.8%) 46-55 წლის ასაკობრივი ჯგუფიდანაა. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფს კი წარმოადგენენ 56-65 წლის რესპონდენტები (30.4%). გამოკითხულთაგან 11.9% 65 და მეტი წლის რესპონდენტები არიან.

ცხრილი 2. რესპონდენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. (კითხვა 5)

ასაკობრივი ჯგუფი	**%**
18_24	1.2
25_29	3.9
30_35	7.8
36_45	20.0
46_55	24.8

56_65	30.4
65 და მეტი	11.9

გამოკითხულთა უმეტესობა სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული - 45.5%. სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობას (17.4%) მცირედ ჩამორჩება ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხვი (14.1%). რესპონდენტებში თითქმის თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი პენსიონერები და უმუშევრები, შესაბამისად 15% და 14.1%. დეტალურად რესპონდენტთა დასაქმების მიხედვით განაწილების შესახებ იხილეთ ცხრილში.

ცხრილი 3. რესპონდენტთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით[2]. (კითხვა 6)

დასაქმების სტატუსი	**შემთხვევათა %**
დასაქმებული სახელმწიფო სექტორში	45.5%
თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში	17.4%
პენსიონერი	15.0%
დასაქმებული ბიზნეს სექტორში	14.1%
უმუშევარი	14.1%
თვითდასაქმებული არასასოფლო სამეურნეო სფერო	3.0%
სეზონურად დასაქმებული	1.3%
სტუდენტი	.1%
სხვა	1.6%

რესპონდენტთა ნახევარზე მეტს, 55.2%-ს აქვს საშუალო (ან 12 კლასის) განათლება. თითქმის მეხუთედს (19.8%) დასრულებული აქვს მაგისტრატურა ან აქვს მასთან გათანაბრებული 5 წლიანი განათლების დიპლომი. მცირედ ჩამორჩება ბაკალავრთა რაოდენობა - 16.5%. რესპონდენტთა მცირე ნაწილს არ აქვს დასრულებული ბაკალავრიატი (4%) და მაგისტრატურა (1.3%), არასრული საშუალო განათლება აქვს 2.9%. გამოკითხულთა შორის 1 დოქტორანტია.

ცხრილი 4. განათლების მიღწეული საფეხური. კითხვა 10

განათლების მიღწეული საფეხური	**%**
საშუალო 12 კლასი	55.2
მაგისტრატურა ან მასთან გათანაბრებული 5 წლიანი განათლების დიპლომი	19.8
ბაკალავრიატი დასრულებული	16.5
ბაკალავრიატი არასრული	4.0
არასრული საშუალო 9 კლასი	2.9

[2] რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ აერჩიათ რამდენიმე პასუხი, შესაბამისად პასუხები დათვლილია შემთხვევათა რიცხვიდან და პასუხების ჯამი 100%-ზე მეტია

მაგისტრატურა არასრული	1.3
დოქტურანტურა	.1
უარი პასუხზე	.2

გამოკითხულ რესპონდენტთა 10.2% მარტოხელაა, გამოკითხულთა ყველაზე დიდი ჯგუფის, 29.5%-ის ოჯახი ორი წევრისგან შედგება, მეხუთედზე ოდნავ მეტის (20.6%) ოჯახი სამი, ხოლო 15.3%-ის ოჯახი 4 წევრიანია. დაახლოებით თანაბარი რაოდენობის რესპონდენტთა ოჯახები 5 და 5-ზე მეტი წევრისგან შედგება, შესაბამისად 12.8% და 11.6%.

ცხრილი 5. ოჯახის წევრთა რაოდენობა. კითხვა 11

ოჯახის წევრთა რაოდენობა	**%**
მარტო ვცხოვრობ	10.2
2 წევრისგან	29.5
3 წევრისგან	20.6
4წევრისგან	15.3
5 წევრისგან	12.8
5 ზე მეტი წევრისგან	11.6

გამოკითხვის შედეგები

ეკონომიკური მდგომარეობა

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა რესპონდენტთა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა.

რესპონდენტთა 43.4% ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას აფასებს როგორც დამაკმაყოფილებელს, ანუ მათ ოჯახს შეუძლია ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება. 30.2% თვლის, რომ მათ ოჯახს ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს, შემოსავალი მხოლოდ საკვებზე ჰყოფნით. თითქმის მეოთხედის, 24.8%-ის ოჯახებს შეუძლიათ ყოველდღიური ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება. ფულის თავისუფლად ხარჯვის საშუალება, ანუ კარგი ფინანსური მდგომარეობა აქვს 8 ადამიანს (0.8%). ამდენივე რესპონდენტის ოჯახს კი ძალიან ცუდი ფინანსური მდგომარეობა აქვს - შემოსავალი კვებაზეც კი არ ჰყოფნით.

ცხრილი 6. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა. კითხვა 7

ოჯახის ფინანსური მდგომარეობა	**%**
დამაკმაყოფილებელი – შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება	43.4
ცუდი – შემოსავალი (აღებული მოსავალი) მხოლოდ კვებაზე გვყოფნის	30.2
საშუალო – შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება	24.8
კარგი - შეგვიძლია ფულის დახარჯვა თავისუფლად	.8
ძალიან ცუდი – არსებული შემოსავლით ვერ ვუზრუნველყოფთ მინიმალურ მოთხოვნილებას კვებაზე შემოსავალი / მოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	.8

რესპონდენტთა მესამედის ოჯახს (33.3%) 600-დან 1000 ლარამდე აქვს საშუალო თვიური შემოსავალი, მეხუთედზე ოდნავ მეტს (22.2%) 1000-1500 ლარის ფარგლებში, თითქმის ამდენივეს კი (21.4%) 300-600 ლარი. მცირე ნაწილის, 4.1%-ის ოჯახის შემოსავალი 300 ლარამდე თვეში. 2000 და მეტი ლარის საშუალო თვიური შემოსავალი აქვს გამოკითხულთა 7.1%-ის ოჯახს.

ცხრილი 7. ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი. კითხვა 8

შემოსავალი	**%**
300 ლარამდე	4.1
300-600 ლარამდე	21.4
600-1000 ლარამდე	33.3
1000-1500 ლარამდე	22.2

1500 – 2000 ლარამდე	11.9
2000 და მეტი	7.1

იმ 8 რესპონდენტიდან, ვინც თვლის, რომ მის ოჯახს შეუძლია თავისუფლად ფულის დახარჯვა, ანუ აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა, 5-ს აქვს 2000 და მეტი შემოსავალი, ასევე თითო-თითო რესპონდენტს აქვს 1500-დან-2000 ლარამდე, 1000-დან 1500 და 600-დან 1000 ლარამდე შემოსავალი.

საშუალო და დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის რესპონდენტთა შორის არიან როგორც 300 ლარამდე, ისე 2000 და მეტი ლარის შემოსავლის მქონე რესპონდენტები. აღსანიშნავია, რომ ცუდი ფინანსური მდგომარეობის რესპონდენტთა შორის არის ერთი 2000 და მეტი შემოსავლის მქონე პირიც. იხ. დანართი 1. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები/ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი.

გამოკითხული რესპონდენტებიდან თითქმის მესამედს (31.8%) სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს. სპეციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთა განაწილება იხ. ცხრილში.

ცხრილი 8. სპეციალური სტატუსის მქონე რესპონდენტთა განაწილება. კითხვა 9[3]

სპეციალური სტატუსი	**შემთხვევათა %**
სოციალურად დაუცველი	31.8%
დევნილი	1.3%
შშმ პირი	.8%
ომის ვეტერანი	.5%
არ მაქვს სპეციალური სტატუსი	66.1%
სხვა	.1%

სამოქალაქო მონაწილეობა

რესპონდენტების უმეტესობის სამოქალაქო აქტივობა არცთუ მაღალია: სოფლის/უბნის პრობლემების მოსაგვარებლად საკუთარი ჩართულობის შეფასებისას გამოკითხულთა პასუხების საშუალო მაჩვენებელი 2.26 ქულაა 5 საფეხურიან სკალაზე, სადაც 1 არის „საერთოდ არ ვარ ჩართული, არ მაინტერესებს“, ხოლო 5 – „ჩართული ვარ, ვთვლი, რომ აქტიური მოქალაქე ვარ“. რესპონდენტების მხოლოდ 8.2% არის აქტიურად ჩართული სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში, 7.1% კი საკმაოდ ჩართული. 38.7%-ს არ აინტერესებს პრობლემების მოგვარებაში ჩართვა. მეხუთედი (20.5%) იშვიათად ერთვება, მეოთხედი (25.5%) კი პერიოდულად.

დიაგრამა 1. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. სულ. კითხვა 12

[3] რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა. პასუხები დათვლილია შემთხვევათა რიცხვიდან



თემის პრობლემების მოგვარებაში უფრო აქტიურად არიან ჩართულნი 46-55 და 56-65 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლები, ყველაზე პასიურები კი 18-24 წლის ახალგაზრდები არიან. **განსხვავება ასაკობრივი ჯგუფების მაჩვენებლებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (სანდოა sig.: <0.05).**

ქვემოთ მოცემულია თითოეული ასაკობრივი ჯგუფის პასუხების საშუალო მაჩვენებელი.

დიაგრამა 2. სოფლის/უბნის ჰრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. საშუალო ქულა. კითხვა 12



განსხვავება დაფიქსირდა სქესის მიხედვითაც: ქალები უფრო აქტიურები არიან, ვიდრე კაცები: ქალები - 2.61 საშუალო ქულა ხუთსაფეხურიან სკალაზე, კაცები - 2.1. **განსხვავება ქალებისა და კაცების მაჩვენებლებს შორის ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (სანდოა sig.: <0.05).**

მუნიციპალიტეტების მიხედვით ლენტეხის მოსახლეობა ყველაზე მეტად ჩართულია თემის პრობლემების მოგვარებაში, ამბროლაურის - ყველაზე ნაკლებად.

ცხრილი 9. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 12

მუნიციპალიტეტი	**საშუალო ქულა**
ლენტეხი	2.79
ცაგერი	2.41
ონი	2.20
ამბროლაური	1.96

დასახლების ტიპის მიხედვით განაწილების შედეგების თანახმად, ყველაზე პასიურები ქალაქის მაცხოვრებლები არიან, დაბის ტიპის დასახლების მაცხოვრებლები - ყველაზე აქტიურები.

ცხრილი 10. სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით. კითხვა 12

დასახლების ტიპი	**საშუალო ქულა**
დაბა	2.79
სოფელი	2.35
ქალაქი	1.85

დასაქმების სტატუსის მიხედვით პასუხების განაწილება აჩვენებს, რომ ყველაზე მეტად თემის პრობლემების მოგვარებაში ჩართულები არიან სახელმწიფო სექტორში დასაქმებული რესპონდენტები[4], ჩართულობის მიხედვით მომდევნო ადგილებზე სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები, უმუშევრები, პენსიონერები და ბიზნეს სექტორში დასაქმებულები არიან.

დაწვრილებით იხ. დანართი 2 . დასაქმების სტატუსი / სოფლის / უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა.

გამოკითხული რესპონდენტები გაცილებით ოპტიმისტურად აფასებენ დადებითი ცვლილებების მოხდენის საკუთარ შესაძლებლობებს ადგილობრივ დონეზე (თემში/სოფელში), ვიდრე რეგიონისა და ქვეყანის დონეზე. შეფასებისთვის გამოყენებული იყო სამი დებულება, რომლებიც შეფასდა 5 საფეხურიანი სკალაზე (1 „არ ვეთანხმები“, 5 „სრულიად ვეთანხმები“).

ცხრილი 11. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. სულ. კითხვა 14

დებულება	**საშუალო ქულა**

[4] პერიოდულად ჩართული, საკმაოდ ჩართული, ჩართული/აქტიური მოქალაქე

მე შემიძლია დადებითი ცვლილებები მოვახდინო ჩემს თემში / სოფელში	2.31
მე შემიძლია დადებითი ცვლილებები მოვახდინო ჩემს რეგიონში	1.49
მე შემიძლია დადებითი ცვლილებები მოვახდინო ჩემს ქვეყანაში	1.30

გამოკითხვის შედეგები ადასტურებს ოთხივე მუნიციპალიტეტში თემის/სოფლის დონეზე მოქალაქეთა გაცილებით მეტ აქტიურობას და მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ვიდრე მუნიციპალიტეტის და რეგიონის დონეზე. ამასთან სხვა მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან შედარებით ლენტეხელი რესპონდენტების გაცილებით დიდი რაოდენობა ამბობს, რომ მიუღია მონაწილეობა სოფლის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (59%), მონაწილეობის თვალსაზრისით ყველაზე ნაკლები აქტიური რესპონდენტი კი ონიდან არის (29.5%). მუნიციპალიტეტის და რეგიონის დონეზე გადაწყვეტილებების პროცესში მონაწილე რესპონდენტების რაოდენობა ოთხივე მუნიციპალიტეტიდან მნიშვნელოვნად იკლებს.

დიაგრამა 3. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 14



სოფლის დონეზე გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობად რესპონდენტები ძირითადად სოფლის საერთო კრებებზე დასწრებას მიიჩნევენ. სწორედ ამ აქტივობას ასახელებს გამოკითხულთა 51.2%. სხვა სამოქალაქო აქტივობების დასახელების სიხშირე არ სცდება 5.7%-ს.

დიაგრამა 4. სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობა. სულ. კითხვა 15



აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები საკუთარ, როგორც მოქალაქის გავლენას ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტი, მერია, საკრებულო) გადაწყვეტილებებზე საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევენ: 5 საფეხურიან სკალაზე, სადაც 1 არის „არანაირი გავლენის მოხდენა არ შემიძლია“, ხოლო 5 – „შემიძლია გავლენა მოვახდინო გადაწყვეტილებებზე“ პასუხების საშუალო მაჩვენებელი მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან 1.93 ქულაა.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51.7%) თვლის, რომ არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე, 17.5% კი ფიქრობს, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეუძლია გავლენის მოხდენა.

რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ შეუძლია გავლენის მოხდენა ან ხშირად შეუძლია გავლენის მოხდენა, შესაბამისად 4.5% და 4.7%. მეხუთედზე ოდნავ მეტი, 21.5% კი ფიქრობს, რომ მეტ-ნაკლებად შეუძლია გავლენის მოხდენა.

დიაგრამა 5. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. სულ. კითხვა 16



აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ქალები უფრო პესიმისტურად არიან განწყობილნი ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის მიმართ, ვიდრე კაცები: ქალების შეფასების საშუალო ქულა მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან 1.89-ია, კაცების - 2.02.

საკუთარ გავლენას თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე სხვა რესპონდენტებთან შედარებით უფრო მაღალი ქულით აფასებენ 56-65 და 46-55 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები, შესაბამისად 2.05 და 1.97 საშულო ქულა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ამ ჯგუფების რესპონდენტების სამოქალაქო მონაწილეობა სხვა ჯგუფებთან შედარებით მაღალია. 18-24 წლის ახალგაზრდები კი ყველაზე დაბალი ქულით აფასებენ თავის გავლენას. სხვა ასაკობრივი ჯგუფების შეფასებები იხ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

დიაგრამა 6. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 16



ლენტეხში გამოკითხული რესპონდენტები, რომლებიც მათი თქმით თემის პრობლემების მოგვარებაში აქტიური ჩართულობით გამოირჩევიან, სხვა მუნიციპალიტეტების რესპონდენტებთან შედარებით გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარ გავლენას თვითმართველობის გადაწყვეტილებებზე - 3.02 საშუალო ქულა. სხვა მუნიციპალიტეტების შეფასებები უფრო მოკრძალებულია და 1.77 საშუალო ქულას არ აღემატება. ცხრილში ნაჩვენებია შედეგების განაწილება სამიზნე მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ცხრილი 12. ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 16

მუნიციპალიტეტი	**საშუალო ქულა**
ლენტეხი	3.02
ონი	1.77
ცაგერი	1.76
ამბროლაური	1.70

დასაქმების სტატუსის მიხედვით განაწილებისას ყველა ჯგუფში, მათ შორის სახელმწიფო სამსახურში და ბიზნეს სექტორში დასაქმებულებში, სჭარბობს იმ რესპონდენტთა რიცხვი რომელიც ფიქრობს, რომ ან არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე, ან იშვიათ შემთხვევებში. დაწვრილებით იხ. დანართი cross reference

გამოკითხულთა 78.6% არ დაინტერესებულა საკუთარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით და არ გაცნობია მას. 10.1%-მა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე მოიძია და გაეცნო ბიუჯეტს, ხოლო 6% დაესწრო მის განხილვას.

დიაგრამა 7. გაცნობიხართ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტს? სულ. კითხვა 17



სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავება არ დაფიქსირდა.

მუნიციპალიტეტების მიხედვით მონაცემთა განაწილების თანახმად ბიუჯეტს ყველაზე აქტიურად ლენტეხში ეცნობიან, როგორც დამოუკიდებლად ვებ გვერდზე მოძიების, ისე ბიუჯეტის განხილვაზე დასწრების საშუალებით: ლენტეხი, ვებ გვერდზე მოძიება - 20%, ბიუჯეტის განხილვაზე დასწრება - 11.4%. ცაგერში ძირითადად ვებ გვერდზე მოძიებას ანიჭებენ უპირატესობას - 18.2%, განხილვაზე დასწრება - 2%. ონში რესპონდენტთა 3% გაეცნო ბიუჯეტს მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე, 5.5% დაესწრო ბიუჯეტის განხილვას. ამბროლაურში 3.6% გაეცნო ბიუჯეტს ვებ გვერდზე, ბიუჯეტის განხილვას დაესწრო 7.5%.

დიაგრამა 8. გაცნობიხართ თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტს? განწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 17



გამოკითხულთა 16.2% თვლის, რომ მისნაირი ადამიანების ინტერესები გათვალისწინებულია ბიუჯეტში, 13.9%-ის აზრით ხშირად არის გათვალისწინებული, ხოლო 37.5% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია.

რესპონდენტთა 19.1% თვლის, რომ იშვიათად არის გათვალისწინებული მათნაირი ადამიანების ინტერესები ბიუჯეტში, 13.3% კი ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტების მიხედვით განაწილებისას ლენტეხში რესპონდენტების ყველაზე დიდი ჯგუფი, 42.4% თვლის რომ მეტ-ნაკლებად ხდება გათვალისწინება.

ონში გამოკითხულთა ყველაზე მეტი რაოდენობა 32.7% თვლის, რომ მათნაირი ადამიანების ინტერესების გათვალისწინებულია ბიუჯეტში.

ცაგერსა და ამბროლაურში გამოკითხულებიდან ყველაზე მეტი რესპონდენტი თვლის რომ ინტერესების მეტ-ნაკლები გათვალისწინება ხდება, შესაბამისად 35.8% და 40.4%

სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირებულა.

დაწვრილებით პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით იხ. დიაგრამაზე.

დიაგრამა 9. თქვენი აზრით გათვალისწინებულია თუ არა ბიუჯეტში თქვენნაირი ადამიანების საჭიროებები? კითხვა 18



რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (49.2%) თვლის, რომ ბიუჯეტში ქალებსა და კაცების ინტერესები თანაბრად არის გათვალისწინებული. 11.5% თვლის, რომ კაცების ინტერესს მეტად ითვალისწინებს ბიუჯეტი, ხოლო 4.6%-ის აზრით კი ქალების ინტერესია მეტად არის გათვალისწინებული. 34.7%-მა არ იცის/უჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა 10. თანაბრად არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში ქალების და მამაკაცების ინტერესები? სულ. კითხვა 19.



ოთხივე მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა მეტი რაოდენობა თვლის, რომ ბიუჯეტი თანაბრად ითვალისწინებს ქალისა და კაცის ინტერესებს. სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირებულა.

ლენტეხში გამოკითხულთა უმეტესობა (65%) ფიქრობს, რომ ბიუჯეტი თანაბრად ითვალისწინებს როგორც ქალის, ისე კაცის ინტერესებს. 6.4% თვლის, რომ მამაკაცის ინტერესებია მეტად გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ ლენტეხში არცერთი რესპონდენტი არ ფიქრობს, რომ ქალების ინტერესებს მეტად ითვალისწინებს ბიუჯეტი.

ამბროლაურსა და ცაგერში გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა (15.7% დ 15.8%) ფიქრობს, რომ მამაკაცების ინტერესებს მეტად ითვალისწინებს ბიუჯეტი, ამბროლაურში კი სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მეტი რესპონდენტი (10.8%) ფიქრობს, რომ ქალების ინტერესები მეტადაა გათვალისწინებული ბიუჯეტში. იხ. ცხრილი

ცხრილი 13. თანაბრად არის თუ არა გათვალისწინებული ბიუჯეტში ქალების და მამაკაცების ინტერესები? განაწლება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 19.

	ამბროლაური	**ონი**	**ცაგერი**	**ლენტეხი**
დიახ, თანაბრად	45.0	51.7	45.1	65.0
მამაკაცების ინტერესები უფრო მეტადაა გათვალისწინებული	15.7	1.0	15.8	6.4
ქალების ინტერესები უფრო მეტადაა გათვალისწინებული	10.8	2.0	1.0	0.0
არ ვიცი/მიჭირს შეფასება	28.5	45.3	38.0	28.6

ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG)

გამოკითხულთა 87.9%-ს არ სმენია ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (ე.წ. LAG-ები)[5] შესახებ. 3%-ია კარგად ინფორმირებულია მათ შესახებ, ხოლო 9.1%-ს სმენია, თუმცა არ იცნობს მათ საქმიანობას. სქესისა და ასაკის მიხედვით განსხვავებები არ დაფიქსირებულა.

მათგან, ვისაც სმენია ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ, 70% დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში.

მათ, ვისაც სმენიათ ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ, ვთხოვეთ 4 საფეხურიან სკალაზე[6] შეეფასებინათ რამდენიმე დებულება. სამივე დებულება შეფასდა საშუალოზე მაღალი ქულებით: რესპონდენტების ეს ჯგუფი თვლის, რომ ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნა სარგებელს მოუტანს მათს მუნიციპალიტეტს, გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას სოფლის/მუნიციპალიტეტის განვითარებაში და უმეტესობას ენდომებოდა ყოფილიყო მათი წევრი.

ცხრილი 14. რამადენად ეთანხმებით შემდეგ დებულებებს? სულ. კითხვა 21

დებულება	**საშუალო ქულა**
ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნა სარგებელს მოუტანს ჩვენს მუნიციპალიტეტს	3.55
ადგილობრივი განვითარების ჯგუფი გაზრდის მოსახლეობის ჩართულობას სოფლის/მუნიციპალიტეტის განვითარებაში	3.54
თუ ჩვენს მუნიციპალიტეტში შეიქმნება LAG-ი, მენდომებოდა ვყოფილიყავი მისი წევრი	3.30

რესპონდენტებმა 5 საფეხურიან სკალაზე შეაფასეს ადგილობრივი თემის/სოფლის განვითარებაზე LAG-ის გავლენის მოსალოდნელი ხარისხი. მთლიანობაში მოლოდინი ოპტიმისტურია: საშუალო ქულა მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან 3.64-ია.

[5] LAG - Local Action Groups (ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), ევროკავშირის ქვეყნებში ადგილობრივ სამოქალაქო გაერთიანებებს წარმოადგენენ, რომლებიც თვითმმართველობის პარალელურად თემის განვითარებისათვის საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზაციას, ხალხის ჩართულობას და, საერთო ჯამში, ლოკალურ განვითარებას უწყობენ ხელს. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები (LAG) შედგება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, კერძო სექტორისა და თემის წარმომადგენლებისგან. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

[6] სადაც 1 არის „არა“, 2 - მეტნაკლებად“, 3 – „ დიახ, 4 – „სავსებით დიახ“

რესპონდენტების 29.7%-ს აზრით LAG-ს მათი თემის განვითარებაში ძალიან მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია, 21.1% თვლის, რომ შესაძლოა გავლენა მნიშვნელოვანი იყოს, 23.1%-ის აზრით კი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი.

სკეპტიკურად განწყობილი რესპონდენტების წილი ჯამში 17%-ს შეადგენს (უმნიშვნელო - 11.6%, ძალიან უმნიშვნელო - 5.4%).

რესპონდენტთა 9.1%-ს არ იცის/გაუჭირდა პასუხი კითხვაზე.

დიაგრამა 11. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. სულ. კითხვა 23



LAG-ის გავლენის მნიშვნელობას ყველაზე მაღალი ქულით 25-29 და 46-55 წ. ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტები აფასებენ, შესაბამისად 3.79 და 3.74 საშუალო ქულა.

ცხრილი 15. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 23

ასაკი	**საშუალო ქულა**
18-24	3.00
25-29	3.79
30-35	3.68
26-45	3.69
46-55	3.74
56-65	3.64
65+	3.30

ქალები უფრო მაღალი ქულით აფასებენ LAG-ის მოსალოდნელი გავლენის მნიშვნელობას, ვიდრე კაცები: ქალები - 3.72, კაცები - 3.47.

ოთხივე მუნიციპალიტეტში საშუალოზე მაღალი ქულით შეფასდა LAG-ის მოსალოდნელი გავლენის მნიშვნელობა. ლენტეხის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი საშუალო ქულით - 3.91, ცაგერში მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე დაბალი ქულით - 3.31, თუმცა აღნიშნული ქულა ასევე საშუალოზე მაღალია. მუნიციპლიტეტების მოსახლეობის შეფასებები იხ. ცხრილში.

ცხრილი 16. თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა ადგილობრივი სოფლის / თემის განვითარებაზე. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 23

მუნიციპალიტეტები	**საშუალო ქულა**
ლენტეხი	3.91
ამბროლაური	3.87
ონი	3.45
ცაგერი	3.31

გამოკითხვაში მონაწილეები ფიქრობენ, რომ LAG-ი ხელს შეუწყობს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, ქალები) მონაწილეობას თემის/სოფლის განვითარებაში: ხუთსაფეხურიან სკალაზე[7] ამ დებულებამ 3.75 ქულა მიიღო.

მოსახლეობის ჩართულობაზე LAG-ის გავლენას ყველაზე მაღალი ქულით კვლავ 25-29 და 46-55წ. ასაკობრივი ჯგუფის წარმოადგენლები აფასებენ, შესაბამისად 3.87 და 3.85 ქულა.

ცხრილი 17. თქვენი აზრით რამდენად შეუწყობს ხელს/დაეხმარება ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, ქალები) მონაწილეობას თემის/სოფლის განვითარებაში? განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. კითხვა 24

ასაკი	**საშუალო ქულა**
18-24	2.91
25-29	3.87
30-35	3.74
26-45	3.78
46-55	3.85
56-65	3.79
65+	3.40

[7] სადაც 1 არის „არ ექნება გავლენა ჩართულობაზე“. ხოლო 5- „მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჩართულობაზე“

ქალები კვლავ კაცებზე მაღალი ქულით აფასებენ LAG-ის გავლენას მოსახლეობის ჩართულობაზე: ქალები - 3.82, კაცები - 3.58.

მუნიციპალიტეტების მიხედვით პასუხების განაწილების თანახმად ამბროლაურში ყველაზე მაღალი ქულით აფასებენ თემის განვითარებაში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობის მიმართულებით LAG-ის ხელშეწყობის შესაძლებლობას - 3.99. ყველაზე დაბალი ქულით კი ცაგერში შეფასდა ეს შესაძლებლობა - 3.44.

ცხრილი 18. თქვენი აზრით რამდენად შეუწყობს ხელს/დაეხმარება ადგილობრივი განვითარების ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების (ახალგაზრდები, შშმ პირები, ქალები) მონაწილეობას თემის/სოფლის განვითარებაში? განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 24

მუნიციპალიტეტები	**საშუალო ქულა**
ამბროლაური	3.99
ლენტეხი	3.89
ონი	3.64
ცაგერი	3.44

სახელმწიფო სერვისები

სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა 5 საფეხურიან სკალაზე[8] შეფასებისას საშუალოზე ოდნავ მაღალია - 3.04 საშუალო ქულა.

რესპონდენტთა ყველაზე დიდი ჯგუფი მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული სახელმწიფო სერვისების შესახებ - 35.5%. მეხუთედი თავს ინფორმირებულად თვლის (20.3%), სრულად ინფორმირებული კი მცირე ნაწილი, 12.8%-ია.

მცირედ ინფორმირებული 20.6%-ია, სრულიად არაინფორმირებული კი 10.7%.

დიაგრამა 12. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. სულ. კითხვა 25

[8] 1 – „სრულიად არა ინფორმირებული“, 5 - სრულიად ინფორმირებული“



სახელმწიფო სერვისების შესახებ ყველაზე ინფორმირებულად თავს 26-45 და 56-65 წ. ასაკობრივი კატეგორიების წარმომადგენლები თვლიან - 3.13 საშუალო ქულა. ყველაზე ნაკლებად ინფორირებულებად კი 65+ ასაკის რესპონდენტები - 2.7 ქულა.

ცხრილი 19. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. კითხვა 25

ასაკი	**საშუალო ქულა**
18-24	2.92
25-29	2.90
30-35	2.95
26-45	3.13
46-55	3.07
56-65	3.13
65+	2.70

ქალები მეტად ინფორმირებულები არიან (3.09 ქულა), ვიდრე კაცები (2.92 ქულა).

ცაგერში ყველაზე მაღალია ინფორმირებულობის შეფასების საშუალო ქულა: 3.44, ონში ყველზე დაბალი: 2.53.

ცხრილი 20. სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 25

მუნიციპალიტეტები	**საშუალო ქულა**
ცაგერი	3.44
ლენტეხი	3.37

ამბროლაური	2.87
ონი	2.53

როგორც აღმოჩნდა, სახელმწიფო სერვისების შესახებ სრულყოფილად ინფორმირებულები სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებს შორისაც ცოტანი არიან, ამ ჯგუფში უმეტესობა მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია: 454 რესპონდენტიდან 153 მეტნაკლებად ინფორმირებულია, 120 ძირითადად ინფორმირებული, 90 კი სრულიად ინფორმირებული. 16 რესპონდენტი სავსებით არაინფორმირებული, 75 კი მცირედ არაინფორმირებული.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა არის მცირედ ინფორმირებული (141-დან 49 რესპონდენტი), მეტნაკლებად ინფორმირებული (46), ძირითადად ინფორმირებული (30). დასაქმების სტატუსის მიხედვით განაწილებაში ყველა ჯგუფში ყველაზე მეტი პასუხია „მეტ-ნაკლებად ინფორმირებული“. დაწვრილებით იხ. დანართი 4. დასაქმების სტატუსი/ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ

ყველაზე ცნობადი სახელმწიფო სერვისები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების/ გარდაცვალების მოწმობა, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, საარქივო მომსახურება, საკადასტრო და სანოტარო სერვისებია.

ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები ასახელებდნენ სოფლის მეურნეობის სერვისებს, საგანმანათლებლო დოკუმენტების მიღება/აღიარებას, ჯარიმის გადახდა/კორექტირებას, არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებებს, იარაღის რეგისტრაციას, ნებართვებს/ლიცენზიებს.[9]

სახელმწიფო სერვისების ცნობადობის შესახებ იხ. ცხრილი

ცხრილი 21. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისების შესახებ გსმენიათ? კითხვა 26

სახელმწიფო სერვისები	**%**
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	85.7
დაბადების/გარდაცვალების მოწმობა	53.0
ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები	38.9
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები	37.6
სახელმწიფო სოციალური პროგრამები	30.8
საარქივო მომსახურება	28.2
საკადასტრო სერვისები	27.8
სანოტარო სერვისები	26.8
მუნიციპალური სოციალური დახმარება (სოციალური პაკეტი)	21.1
მართვის მოწმობა	20.0
შემოსავლების სამსახურის სერვისები	17.5

[9] რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა

სახელმწიფო გრანტი/თანადაფინანსება	16.5
მოქალაქეობა/მიგრაცია	14.5
ბიზნესის რეგისტრაცია	14.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	13.7
მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	11.7
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები	11.1
ემიგრაციის ნებართვა	11.0
სოფლის მეურნეობის სერვისები (აგროსესხი, ექსტენცია, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახელმწიფო სუფსიდია და ა.შ)	8.6
საგანმანათლებლო დოკუმენტების მიღება/აღიარება	8.4
ჯარიმის გადახდა/კორექტირება	7.8
არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები	7.4
იარაღის რეგისტრაცია	7.4
ნებართვები და ლიცენზიები	5.2
არ მსმენია სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ	9.6

სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები სოციალური ქსელები (71%) და ეროვნული დაფარვის ტელევიზიებია (62.4%) . იხ. დიაგრამა.

დიაგრამა 13. საიდან გაქვთ ინფორმაცია სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ? სულ. რამდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა.კითხვა 27



მიუხედავად იმისა, რომ ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის სახელმწიფო სერვისების შესახებ ძირითადი ინფორმაციის წყაროები ეროვნული დაფარვის ტელევიზია და სოციალური ქსელებია, ასაკის მიხედვით იცვლება ინფორმაციის წყაროების დასახელების სიხშირე: სოციალური ქსელები, როგორც ინფორმაციის წყარო, ყველაზე ხშირად დასახელდა 25-29 წლის (91.2%), ასევე 30-35 (86.1%) და 36-45 წლის რესპონდენტების მიერ (84%). ყველაზე ნაკლები რესპონდენტი ასახელებს ინფორმაციის წყაროდ სოციალურ ქსელებს 65 + ასაკობრივი ჯგუფიდან. ეროვნული დაფარვის ტელევიზიას - 61.8% და სოციალურ ქსელებს - 63.6%.

ეროვნული დაფარვის ტელევიზია უფრო ხშირად დასახელდა 56-65 (66.1%), 18-24 (63.6%) და 45-55 წლის რესპონდენტების მიერ (62.4%). ამასთან 18-24 წლის რესპონდენტები თანაბრად ასახელებენ ეროვნული დაფარვის ტელევიზიასა და სოციალურ ქსელებს - 63.6%.

ცხრილი 22. საიდან გაქვთ ინფორმაცია სახელმწიფო/მუნიციპალური სერვისების შესახებ? განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. რამდენიმე პასუხის არჩევის შესაძლებლობა. კითხვა 27.

ინფორმაციის წყაროები	**18-24**	**25-29**	**30-35**	**36-45**	**45-55**	**56-65**	**65 +**
ეროვნული დაფარვის ტელევიზია	**63.6%**	**61.8%**	**56.9%**	**59.4%**	**62.4%**	**66.1%**	**62.1%**
ეროვნული დაფარვის რადიო	9.1%	0	1.4%	2.1%	1.3%	0	1.1%
ადგილობრივი ტელევიზია	0	11.8%	4.2%	15.5%	19.7%	19.6%	24.1%
ადგილობრივი რადიო	0	0	0	0	.4%	.7%	1.1%
სოციალური ქსელები	**63.6%**	**91.2%**	**86.1%**	**84.0%**	**73.8%**	**63.5%**	**40.2%**
ინტერნეტ გამოცემები	36.4%	23.5%	18.1%	32.6%	30.1%	29.5%	18.4%
მუნიციპალიტეტის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი	9.1%	23.5%	19.4%	12.8%	14.4%	12.5%	5.7%
მუნიციპალიტეტის ვებგვერდი	0	17.6%	11.1%	6.4%	11.8%	10.3%	3.4%

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ყველაზე მეტად გამოყენებული სახელწიფო სერვისებია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღება (30.4%) და საკადასტრო სერვისები (17.3%). ქვემოთ მოცემულია ყველაზე ხშირად დასახელებული სერვისების პირველი ათეული. სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის სრული სია იხ. დანართი 5. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე?

ცხრილი 23. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე?

სახელმწიფო სერვისები	**სიხშირე**	**%**
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	304	30.4
საკადასტრო სერვისები	173	17.3
ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები	80	8.0

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	72	7.2
სანოტარო სერვისები	56	5.6
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები	54	5.4
საარქივო მომსახურება	48	4.8
შემოსავლების სამსახურის სერვისები	38	3.8
სახელმწიფო სოციალური პროგრამები	36	3.6
მუნიციპალური სოციალური დახმარება	33	3.3

რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ 5 საფეხურიან სკალაზე (სადაც 1 ნიშნავს „ძალიან უკმაყოფილო“, ხოლო 5 – „ძალიან კმაყოფილი“) შეეფასებინათ რამდენად კმაყოფილნი იყვნენ სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების მიღებით. რესპონდენტები უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილნი არიან და შეფასების საშუალო ქულა 4-ზე მეტია. მხოლოდ შემდეგი 4 სერვისის შემთხვევაშია სერვისით კმაყოფილება 4 ქულაზე ნაკლები: ჯარიმის გადახდა/კორექტირება (3.89), სახელმწიფო გრანტი/თანადაფინანსება (3.89), მუნიციპალური სოციალური დახმარება (3.85), ნებართვები და ლიცენზიები (2). დაწვრილებით სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილების იხ. დანართი 6. სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილება.

სახელმწიფო სერვისების მიღების სიმარტივე რესპონდენტებმა კვლავ 5 საფეხურიან სკალაზე შეაფასეს (1 – „ძალიან რთული“, 5 – „ძალიან მარტივი“). 27 სახელმწიფო სერვისიდან 14 4 და მეტი საშუალო ქულით შეფასდა, 11 – 3-ზე მაღალი ქულით, მხოლოს 2 სერვისს, ემიგრაციის ნებართვასა (2.330 და ნებართვებსა და ლიცენზიებს (1.67) აქვთ საშუალოზე დაბალი შეფასება. დაწვრილებით სახელმწიფო სერვისების მიღების სიმარტივის შესახებ იხ. დანართი 7. სახელმწიფო სერვისის მიღების სიმარტივე

სახელმწიფო სერვისები მოქალაქეებში საშუალოზე მაღალი სანდოობით (3.91)[10] სარგებლობს, იმისდა მიუხედავად, მიუღიათ თუ არა ეს სერვისები მათ.

რესპონდენტებს ვთხოვეთ დაესახელებინათ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც მაღალი ხარისხის მომსახურება აქვთ. გამოკითხულთაგან ყველაზე მეტი რესპონდენტი თვლის, რომ მომსახურების მაღალი ხარისხი აქვს იუსტიციის სახლს (408 რესპონდენტი), სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებს (168 რესპონდენტი), განათლების სისტემის სტრუქტურებს (35 რესპონდენტი), საჯარო რეესტრს (30 რესპონდენტი), მერიას/მუნიციპალიტეტს (20 რესპონდენტი), სოციალურ სააგენტოს (20 რესპონდენტი). სხვა სახელმწიფო სტუქტურები დასახელდა 1-დან 15-მდე სიხშირით. უნდა აღინიშნოს რომ, მოქალაქეების ნაწილი ბანკებს მიიჩნევს სახელმწიფო სტრუქტურად: სახელმწიფო სტრუქტურების ჩამონათვალში ბანკები დასახელდა 14-ჯერ.

დაწვრილებით დასახელებული სახელმწიფო სტრუქტურების შესახებ იხ. დანართი 8. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურების ხარისხი.

[10] ხუთსაფეხურიანი სკალა: 1 – „ სრულიად არასანდო“, 5 – „ სრულიად სანდო“

სახელმწფო სტრუქტურებიდან ყველაზე მეტი რესპონდენტი ენდობა იუსტიციის სახლს (305 რესპონდენტი), ჯანდაცვის სამინისტროს (164 რესპონდენტი), განათლების სისტემას (54 რესპონდენტი), საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (32 რესპონდენტი), ადგილობრივ თვითმმართველობას (31 რესპონდენტი). დანარჩენი სახელმწიფო სტრუქტურები დასახელდა 1-დან 15-მდე სიხშირით.

არცერთ სახელმწიფო სტრუქტურას არ ენდობა 70 რესპონდენტი, მეტნაკლებად ყველას ენდობა 32, ხოლო არ იცის / პასუხის გაცემა გაუჭირდა 28 რესპონდენტს.

დაწვრილებით იხ. დანართი 9. რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას ენდობით ყველაზე მეტად?

ადგილობრივი თვითმართველობის, როგორც სერვისის გამცემი ორგანიზაციის მოქალაქეებისადმი ობიექტურობის შეფასებისას რესპონდენტების 21.1%-მა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ძალიან ობიექტურია, სერვისის მიწოდების პროცესში. 28.5% თვლის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა გამონაკლის შემთხვევებში ანიჭებს მოქალაქეებს პრიორიტეტებს რაიმე ნიშნით. მეოთხედზე ოდნავ მეტი, 25.7% კი თვლის, რომ ხშირად ხდება 4.8% კი თვლის, რომ უსამართლოდ რაიმე ნიშნით პრიორიტეტის მინიჭება მოქალაქეებისთვის გავრცელებული პრაქტიკაა. იხ. ცხრილი 24

ცხრილი 24. როგორ შეაფასებდით რამდენად ობიექტურია მოქალაქეების მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობა როგორც სერვისის გამცემი ორგანიზაცია? კითხვა 35

	%
ადგილობრივი თვითმმართველობა ძალიან ობიექტურია სერვისის მიწოდების პროცესში.	21.1
მოქალაქეებისათვის პრიორიტეტების მინიჭება რაიმე ნიშნით ხდება გამონაკლის შემთხვევებში.	28.5
ხშირ შემთხვევაში ხდება მოქალაქეებისათვის გარკვეული პრიორიტეტის მინიჭება.	25.7
მოქალაქეებისათვის პრიორიტეტის მინიჭება ხდება უსამართლოდ	4.8
არ ვიცი/უარი პასუხზე	19.9

რესპონდენტები გასაუმჯობესებელი სერვისებიდან პირველ რიგში ჯანდაცვისა და განათლების სერვისებს ასახელებენ[11]: ჯანდაცვის სერვისები - 628 დასახელება, განათლება - 180 დასახელება. ქვემოთ მოცემულია დასახელების სიხშირით პირველი ათეული. დასახელებული სერვისების სრული სია იხ. დანართი 10. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით?

ცხრილი 25. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით?

სერვისები	**სიხშირე**

[11] ღია კითხვა

ჯანდაცვის სერვისები	629
განათლება (ზოგადი განათლების)	182
ყველა სერვისი	72
შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი	36
შიდა გზების რეაბილიტაცია /სანიაღვრეების მოწესრიგება	28
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	24
წყალმომარაგების სერვისი	17
იუსტიციის მომსახურეობას	14
სოციალური პროგრამების/სოციალური სამსახურის	13
კანალიზაციის მოწყობა	12

კითხვაზე რა სერვისის საჭიროება არსებობს თემში/სოფელში, რომელსაც ვერ აწვდის სახელმწიფო[12], რესპონდენტებმა პირველ რიგში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება, ბუნებრივი აირით მოსახეობის უზრუნველყოფა, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, სანაღვრეების მოწყობა მუნიციპალური ტრანსპორტი დაასახელეს. ქვემოთ მოცემულია დასახელებული საჭიროებების პირველი ათეული. საჭიროებების სრული სია იხ. დანართი 11. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო?

ცხრილი 26. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო?

სერვისები	**სიხშირე**
შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება	161
ბუნებრი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფა	142
ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (ექოსკოპიის აპარატი, ანალიზები, მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულები არ ქონა)	118
ინტერნეტი	96
საკანალიზაციო სისტემა	57
სანიაღვრეების მოწყობა	56
მუნიციპალური ტრანსპორტი	55

[12] ღია კითხვა

ნარჩენების გატანა/ურნის დადგმა/დროული დაცლა	52
აფთიაქი	34
გარე განათება	32

გამოკითხულთა 40.1%-ის აზრით მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში არ არის ხელმისაწვდომი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები/ტრენინგები, 59.8% კი თვლის რომ არის. ასევე გაიყო მოსაზრებები პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის (კოლეჯი) შესახებ: 43.5% თვლის რომ არ არის, 56.5% კი პირიქით, ფიქრობს რომ არის.

ამბროლაურში 97.5% თვლის, რომ მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში ხელმისაწვდომია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები/ტრენინგები, ონში - 83.6%, ცაგერში - 22.6%, ლენტეხში - 7.9%.

ამბროლაურში ასევე გამოკითხულთა უმეტესობა, 98.6% თვლის, რომ მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (კოლეჯი), ონში - 83.6%, ცაგერში - 9.8%, ლენტეხში - 7.9%.

სამსაფეხურიან სკალაზე[13] პრიორიტეტულობის შეფასების მიხედვით რესპონდენტებში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის (კოლეჯი) პრიორიტეტულობა უფრო მაღალია, ვიდრე ტრენინგების მიღების შესაძლებლობა: კოლეჯი - 2.74 საშუალო ქულა, ტრენინგები - 2.68.

პასუხების მუნიციპლიტეტების მიხედვით განაწილების თანახმად ტრენინგების შესაძლებლობის არსებობა ონის მაცხოვრებლებისთვის ყველაზე მეტად პრიორიტეტულია, ყველაზე ნაკლებად ლენტეხის მაცხოვრებლებისთვის. იხ. ცხრილი

ცხრილი 27. ტრენინგების პრიორიტეტულობა. განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 39 ბ

მუნიციპალიტეტები	**არ არის პრიორიტეტული**	**მეტნაკლებად**	**პრიორიტეტულია**
ამბროლაური	3.0	11.9	85.1
ონი	.5	11.4	88.1
ცაგერი	7.8	31.4	60.8
ლენტეხი	11.4	42.9	45.7

პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა ამბროლაურის მაცხოვრებლებისთვის მეტად პრიორიტეტულია, ყველაზე ნაკლებად ლენტეხის მაცხოვრებლებისთვის. იხ. ცხრილი

ცხრილი 28. პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა - პრიორიტეტულობა 39 ბ

[13] 1 -არ არის პრიორიტეტული, 2 - მეტ-ნაკლებად პრიოროტეტულია, 3 -პრიოროტეტულია

მუნიციპალიტეტები	არ არის პრიორიტეტული	მეტნაკლებად	პრიორიტეტულია
ამბროლაური	1.1	5.2	93.6
ონი	.5	10.4	89.1
ცაგერი	8.1	24.9	67.0
ლენტეხი	11.4	42.9	45.7

გამოკითხულთა 67.2%-ს სმენია მათ მუნიციპალიტეტში / რეგიონში ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შესახებ (გრანტები ბიზნესის დასაწყებად, გასაფართოვებლად). რესპონდენტების უმრავლესობის, 82.4%-სთვის ასეთი პროგრამების არსებობა პრიორიტეტულია, 17.1%-სთვის მეტ-ნაკლებად პრიორიტეტული, ხოლო 0.4%-სთვის არ არის პრიორიტეტული.

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა დაგვედგინა რა ინფრასტქრუქტურაა რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომი. ყველაზე ხელმისაწვდომ ინფრასტრუქტურას მიეკუთვნება სასმელი წყალი, გარე განათება, სხვა ქალაქებთან დასაკავშირებელი ტრანსპორტი, სკოლა, ჯანდაცვის დახმარების ცენტრი, სპორტული მოედანი და ა.შ. ნაკლებად ხელმისაწვდომია სამკერვალო, ყვავილების მაღაზია, სარიტუალო მომსახურება, კინოთეატრი, შინ მოვლა (მოხუცების, უმწეოების), სარწყავი წყალი. დაწვრილებით შედეგები იხ. ცხრილში

ცხრილი 29. რამდენად ხელმისაწვდომია ქვემოთ ჩამოთვლილი ინფრსტუქტურა. სულ. კითხვა 41ა

	ხელმისაწვდომია. სულ	ამბროლაური	ონი	ცაგერი	ლენტეხი
სასმელი წყალი	90.8	92.8	83.6	92.9	91.4
გარე განათება	89.3	96.4	98.5	81.1	74.3
სხვა ქალაქებთან დასაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი	82.3	88.4	72.6	83.8	76.4
სკოლა	80.5	94.5	69.7	84.8	50.7
ჯანდაცვის დახმარების ცენტრი (ამბულატორია, პოლიკლინიკა, კაბინეტი, საავადმყოფო)	79.8	98.1	66.7	77.8	55.7
სპორტული მოედანი	79.4	87.6	75.1	75.4	72.9
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (დროული გატანა, საკმარისი ურნები)	79.2	92.3	85.1	70.7	55.0
საბავშვო ბაღი	76.6	84.5	65.7	82.8	58.6
სასწრაფო და სამაშველო სამსახურის სერვისები	74.5	100.0	69.2	68.4	28.6
ბიბლიოთეკა	73.5	79.8	74.1	81.1	40.0
შიდა გზა	69.0	68.2	71.1	68.0	69.3

სასურსათო მაღაზია	64.2	70.2	64.2	72.4	31.4
შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი	53.4	71.8	45.8	59.3	4.3
სკვერი და/ან ბავშვთა გასართობი მოედანი	48.4	61.3	58.2	36.0	27.1
სახელმწიფო სერვისების გამცემი პუნქტი (იუსტიციის სერვისები)	44.3	52.8	50.2	39.4	24.3
სპორტული/ შემოქმედებითი წრეები	44.2	30.7	60.7	52.2	38.6
აფთიაქი	39.9	28.5	51.2	53.5	24.3
ბანკი	38.9	46.1	48.3	30.6	24.3
ავტოსერვისი	33.9	26.8	42.8	41.4	23.6
ვეტერინარული მომსახურება	33.1	23.5	34.8	47.8	24.3
სილამაზის სალონი	26.9	27.3	4.0	43.1	24.3
ცხოველთა კვების მიწოდება (საქონლის)	25.9	24.3	10.0	40.1	22.9
სამკერვალო	22.7	26.8	3.5	29.3	25.7
სარიტუალო მომსახურება	22.4	27.6	3.5	31.6	16.4
ყვავილების მაღაზია	21.6	26.0	1.5	29.6	22.1
კინოთეატრი	21.1	10.2	30.3	29.3	18.6
შინ მოვლა (მოხუცების, უმწეოების)	13.9	28.2	2.0	3.0	17.1
სარწყავი წყალი	7.6	6.1	11.4	6.1	9.3

სამსაფეხურიან სკალაზე[14] ინფრასტუქტურის არსებობის პრიორიტეტულობის შეფასების შედეგად ყველაზე პრიორიტეტულ ინფრასტუქტურად დასახელდა სხვა ქალაქებთან დასაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანდაცვის დახმარების ცენტრი, სასურსათო მაღაზია, შიდა გზა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა, სასმელი წყალი და ა.შ.

ნაკლებად პრიორიტეტულად დასახელდა შემდეგი ინფრასტრუქტურა: სილამაზის სალონი, სარიტუალო მომსახურება, კინოთეატრი, შინ მოვლა (მოხუცების, უმწეოების), სამკერვალო, ყვავილების მაღაზია. დაწვრილებით შედეგები იხ. ცხრილში

ცხრილი 30. რამდენად პრიორიტეტულია თქვენი სოფლისთვის/თემისთვის ჩამოთვლილი ინფრასტუქტურა. სულ. კითხვა 41ბ

	სულ	**ამბროლაური**	**ონი**	**ცაგერი**	**ლენტეხი**
სხვა ქალაქებთან დასაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი	2.99	2.99	2.99	2.98	2.99
ჯანდაცვის დახმარების ცენტრი (ამბულატორია, პოლიკლინიკა, კაბინეტი, საავადმოფო)	2.98	2.99	2.98	2.95	2.99

[14] 1 -არ არის პრიორიტეტული, 2 - მეტ-ნაკლებად პრიოროტეტულია, 3 -პრიოროტეტულია

სასურსათო მაღაზია	2.98	2.99	2.99	2.94	2.99
შიდა გზა	2.97	2.99	2.99	2.92	3.00
საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (დროული გატანა, საკმარისი ურნები)	2.97	2.99	2.99	2.91	2.99
სასმელი წყალი	2.96	2.99	2.99	2.90	2.99
სასწრაფო და სამაშველო სამსახურის სერვისები	2.96	2.99	2.98	2.90	2.99
საბავშვო ბაღი	2.96	2.98	2.99	2.90	2.99
გარე განათება	2.96	2.99	3.00	2.87	2.99
სკოლა	2.96	2.99	3.00	2.87	2.99
შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი	2.95	2.98	2.96	2.91	2.96
სპორტული მოედანი	2.95	2.99	2.94	2.87	2.99
აფთიაქი	2.94	2.99	3.00	2.83	2.99
ბიბლიოთეკა	2.91	2.96	2.90	2.84	2.96
სპორტული/ შემოქმედებითი წრეები	2.91	2.96	2.91	2.82	2.99
სკვერი და/ან ბავშვთა გასართობი მოედანი	2.90	2.93	2.95	2.79	2.99
ბანკი	2.89	2.95	2.99	2.71	2.97
სახელმწიფო სერვისების გამცემი პუნქტი (იუსტიციის სერვისები)	2.89	2.97	2.94	2.72	2.98
ვეტერინარული მომსახურება	2.86	2.93	2.76	2.78	2.96
სარწყავი წყალი	2.83	2.90	2.85	2.67	2.96
ავტოსერვისი	2.83	2.88	2.80	2.72	2.95
ცხოველთა კვების მიწოდება (საქონლის)	2.82	2.89	2.71	2.74	2.96
სილამაზის სალონი	2.80	2.86	2.72	2.72	2.94
სარიტუალო მომსახურება	2.79	2.89	2.63	2.70	2.95
კინოთეატრი	2.78	2.86	2.75	2.65	2.94
შინ მოვლა (მოხუცების, უმწეოების)	2.77	2.87	2.66	2.64	2.94
სამკერვალო	2.76	2.84	2.63	2.65	2.94
ყვავილების მაღაზია	2.72	2.83	2.58	2.58	2.94

საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სერვისის მისაღებად ამბროლაურის მოსახლეობა ძირითადად საკუთარი მუნიციპალიტეტის ცენტრს აკითხავს, მცირე ნაწილს იმერეთის რეგიონის ქალაქებში (ქუთაისი, წყალტუბო..) უწევს გამგზავრება.

ონის მოსახლეობა ძირითადად საკუთარ მუნიციპალურ ცენტრში მიდის სერვისის მისაღებად, მცირე ნაწილი კი სხვა რეგიონში და ამბროლაურში.

ცაგერში გამოკითხული რესპონდენტებიდან სერვისს ძირითადად ცაგერში და იმერეთში (ქუთაისი, წყალტუბო..) იღებენ.

ლენტეხელები ძირითადად ლენტეხსა და ცაგერში იღებენ მომსახურებას.

სახელმწიფო პროგრამები და დონორთა მიერ დაფინანსებული პროექტები

სახელმწიფო პროგრამების და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ცნობადობა საკმაოდ დაბალია, სპონტანურად, შეხსენების გარეშე ზოგიერთ რესპონდენტს პროგრამები ერევა სახელმწიფო სტრუქტურებში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში, ასახელებენ FAO-ს, USAID-ს, პროექტ GRETA-ს, ფონდ „ტასოს“. რესპონდენტებისთვის ზოგ შემთხვევაში ცნობილია პროგრამების ზოგადი მიმართულება, მაგალითად მეწარმეობის განვითარება, ბიოპროდუქტის წარმოების ხელშემწყობი პროგრამა, მეფუტკრეობის განვითარების პროგრამა. ზოგ შემთხვევაში კი კონკრეტულ დაფინანსებულ პროექტს აიგივებენ პროგრამასთან: „მაღაზია“, „სასტუმროს განვითარება“, „საცხობი“ და ა.შ.

სახელმწიფო პროგრამებიდან რესპონდენტებს ძირითადად „აწარმოე საქართველოსა“ და სოფლის განვითარების პროგრამის შესახებ სმენიათ, შესაბამისად 398 და 46 რესპონდენტს. 6 რესპონდენტმა დაასახელა „დანერგე მომავალი“, თითოჯერ დასახელდა GITA, მუნიციპალური განვითარების და სახელმწიფო დასაქმების პროგრამა.

სახელმწიფო პროგრამების ჩამონათვალის დემონსტრირებისას მეტმა რესპონდენტმა შეძლო დაესახელებინა პროგრამები, რომელთა შესახებ სმენიათ, კერძოდ:

ცხრილი 31. სახელმწიფო პროგრამები, რომელთა შესახებ სმენიათ. სულ. შეხსენებით. კითხვა 44

სახელმწიფო პროგრამები	**%**
აწარმოე საქართველოში	90.0
სოფლის განვითარების პროგრამა	65.2
GITA	6.4
მუნიციპალური სოფლის პროგრამა	48.9

კითხვაზე სმენიათ თუ არა საერთაშორისო /დონორი / არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ, რესპონდენტები კვლავ ასახელებენ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, კონკრეტულ პროექტებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს და მათ პროგრამებს. იხ. ჩამონათვალი

ცხრილი 32. გსმენიათ თუ არა საერთაშორისო /დონორი / არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ? სულ. კითხვა 45

	სიხშირე
საოჯახო სასტუმრო	27
USAID	20
მეფუტკრეობის განვითარების პროგრამები	15
აფხაზინტერკონტი	13
აწარმოე საქართველოს მიერ დაფინანსებული	13
ევროკავშირი	13

მემცენარეობა	13
მევენახეობა მეღვინეობის პროექტები	7
ქალთა ასოციაცია	7
GRETA	6
GIZ	5
კაფე ბარი	5
მესაქონლეობა	5
რესტორანი	4
კარიტასი	3
მეცხოველეობა	3
საცხობი	3
ფაოს მიერ დაფინანსებული საკუთარი მარანი	3
ფონდი ტასო	3
წითელი ჯვარი	3
UNDP	2
რაჭის სათემო ორგანიზაცია	2
ENPARD	1
ENPARD - დააფინნა სოფ ქულბაქის სათევზე მეურნეობა. და სოფ დოღურაშის ღვინის მარანი	1
NEO პროგრამა	1
ევროპის განვითარებისა ბანკი	1
UNICEF	1
კოოპერატივები მეღორეობის კუთხით	1
მეთევზეობა	1
მსოფლიო ბანკის დაფინანსებით	1
რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმართველობის რესურს ცენტრი	1
საჯარო მმართველობის რეფორმა ადგილობრივ დონეზე ჩარჩო ხელშეკრულების თანახმად	1
სოფ საირმის ბილიკებთან მისასვლელი გზა	1
უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების პროგრამა მარიანა ბოშის მიერ	1
ჩეხეთის სახელმწიფოს ფონდი ,,ჩვენი სივრცე" ლამარა ბოჭორიშვილის პროექტი	1
ჩქუმის თემში გაკეთდა ნაპირსამაგრის სამუშაოები	1
ძალადობის მსხვერპლ ქალებისა თანადგომის პროგრამა	1
წყალი	1
ჭრებალოს მარანი	1

GITA-ს მიერ დაფინანსებული	1

რესპონდენტებს რეგიონში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრო ორგანიზაციების შესახებ ასევე არასრული, დაუზუსტებელი ინფორმაცია აქვთ. ამ შეთხვევაშიც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ მიერ დაფინანსებული და განხორციელებული პროექტები ერევათ ერთმანეთში, ზოგჯერ ახსოვთ ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მაგალითად „ქეთას საერთაშორისო ორგანიზაცია“). იხ. ცხრილი

ცხრილი 33. რომელი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ გსმენიათ, რომლებიც მუშაობენ თქვენს რეგიონში? სულ. სპონტანური დასახელება. კითხვა 46

	სიხშირე
აფხაზინტერკონტი	39
ქალთა უფლებების დამცველის ცენტრი	66
რაჭის სათემო ორგანიზაცია	21
USAID	10
აწარმოე საქართველო	10
ზრდასრულთა განათლების ცენტრი	7
წითელი ჯვარი	7
გრეტა	5
რაჭის ახალგაზრდული ანსამბლეა	5
ქალთა ფონდი ტასო	5
ევროკავშირი	4
ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი	3
FAO	3
რაჭის ლამპარი	2
"ჭრებალოს მარანი"	1
EMPARD	1
IRI	1
ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი	1

GIZ	1
ერთად რეალური ცვლილებებისთვის	1
მეფუტკრეობა	1
მთის ამბები	1
მწვანე ალტერნატივა	1
ონის კვების მრეწველობის კლასტერი	1
ონის ტურიზმის კლასტერი	1
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის თვითმართველობის რესურს ცენტრი	1
სამართლიანო არჩევნები	1
სიძველეთა შესწავლის დაცვის ფონდი	1
ფარდაგები ონიდან	1
ფონდი ედენა	1
ქალთა ფონდი საქართველოში	1
ჩეხეთის რესპუბლიკა კარიტასი საქართველოში	1

რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამონათვალის დემონსტრირების შემდეგ რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად დასახელდა ქალთა ფონდი საქართველოში, რაჭის სათემო ორგანიზაცია, აფხაზინტერკონტი.

ცხრილი 34.. გსმენიათ თუ არა ჩამოთვლილ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ? სულ. შეხსენებით. კითხვა 47

აო	**%**
ქალთა ფონდი საქართველოში	62.3%
რაჭის სათემო ორგანიზაცია	37.0%
აფხაზინტერკონტი	36.2%
რაჭის ახალგაზრდული ინიციატივა Yar	22.3%
განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტ	13.6%

ინოვაციებისა და განვითარების ცენტრი	11.0%
ჰუმანიტარული ინიციატივებისა და განვითარების ცენტრი	8.6%
CSRDG	.8%
სხვა	.3%

დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების შეხსენების გარეშე დასახელებისას რესპონდენტებს ერევათ სახლმწიფო პროგრამები, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ცხრილი 35. რომელი დონორი / საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ გსმენიათ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც ხორციელდება პროექტები თქვენს რეგიონში? პროექტი/ორგანიზაცია. სულ. სპონტანურად. კითხვა 48

ორგანიზაცია	**სიხშირე**
USAID	36
აწარმოე საქართველო	22
ევროკავშირი	18
GRETA	15
აფხაზინტერკონტი	11
საოჯახო სასტუმრო	8
FAO	7
წითელი ჯვარი	6
GIZ	2
ძლიერი სოფლის პროგრამა	2
GITA	2
EU	1
გაეროს ბავშვთა ორგანიზაცია	1
გაეროს ქალთა ორგანიზაია	1
იაპონიის საელჩო	1

UNDP	1
კარიტასი	1
მსოფლიო ბანკი	1
მუნიციპალური განვითარების ფონდი	1
ქალთა ორგანიზაცია	1

შეხსენების შემდეგ (ჩამონათვალის დემონსტრირება) დონორებს შორის ყველაზე ხშირად დასახელდა ევროკავშირი 87.6% და USAID ძლიერი სოფლის პროგრამა, 44.8%. ყველაზე იშვიათად - EU ENPARD, 2.4%.

ცხრილი 36. გსმენიათ თუ არა შემდეგი დონორი / საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ, რომელთა ფინანსური მხარდაჭერითაც ხორციელდება პროექტები თქვენს რეგიონში? (შეხსენებით). კითხვა 49[15]

ორგანიზაცია	**%**
ევროკავშირი	87.6%
USAID ძლიერი სოფლის პროგრამა	44.8%
ADA GRETA	11.5%
FAO	9.7%
EU ENPARD	2.4%

რესპონდენტებმა 5 საფეხურიან სკალაზე[16] შეაფასეს დებულებები, რომლებიც სახელმწიფო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებს ეხებოდა. ყველა დებულებამ მსგავსი, საშუალოზე მაღალი ქულა მიიღო მაქსიმალური 5 შესაძლო ქულიდან.

პროცენტული განაწილებით დებულებების შეფასებისას რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი „მეტ-ნაკლებად“ და „დიახ“ პასუხებს ირჩევდა.

ცხრილი 37. რამდენად ეთანხმებით ქვემოთ ჩამოთვლილ ფრაზებს სახელმწიფო /დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. სულ. კითხვა 50

დებულებები	**საშუალო ქულა**	**სრულიად არა**	**არა**	**მეტ ნაკლებად**	**დიახ**	**სავსებით დიახ**

[15] რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა
[16] 1 – „სრულიად არა“, 5 – „სრულიად დიახ“

1. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში	3.28	2.1	9.8	46.0	41.5	.6
2. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას	3.29	1.8	9.2	47.9	40.4	.8
3. საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში	3.27	2.1	9.6	48.0	39.4	.9
4. საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას რაჭაში	3.28	2.1	9.0	48.6	39.6	.8

რესპონდენტების / მათი ოჯახების წევრების 78.8%-ს მონაწილეობა არ მიუღია რამე სახის საგრანტო კონკურსში. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში 19.8%-ს აქვს მონაწილეობა მიღებული, საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში კი გაცილებით ნაკლებს: შესაბამისად1.80% და 0.5%.

ცხრილი 38. პირადად თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს მიუღია თუ არა რაიმე საგრანტო კონკურსში მონაწილეობა? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა. კითხვა 51.

	%
არ მიმიღია მონაწილეობა	78.80%
დიახ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში	19.70%
დიახ, საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში	1.80%
დიახ, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში	0.50%

კვლევისთვის საინტერესო იყო რატომ არ მონაწილეობს რესპონდენტების უმეტესობა ამა თუ იმ საგრანტო კონკურსში: რესპონდენტები, რომლებსაც არც თავად მიუღიათ მონაწილეობა რაიმე საგრანტო კონკურსში და არც მათ ოჯახის წევრებს, მიზეზად პირველ რიგში ასახელებენ

ინტერესის უქონლობას (50.4%). პასუხების თითქმის მეხუთედი (19.9%) მიუთითებს საგრანტო იდეის უქონლობაზე, კონკურსების შესახებ ინფორმაციის უქონლობა დასახელდა პასუხების 14%-ის შემთხვევაში. პასუხების 12.1%-ის მიხედვით რესპონდენტებს აქვთ უნდობლობა შერჩევის პროცესისადმი. 4.4%-ს არ ჰქონდა საგრანტო განაცხადის დაწერის უნარ-ჩვევები, 3% კი არ აკმაყოფილებდა საგრანტო პირობებს. იხ. ცხრილი

ცხრილი 39. რატომ არ მიგიღიათ მონაწილეობა საგრანტო კონკურსში? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობ. კითხვა 52

	%
არ ვიყავი დაინტერესებული	50.4%
არ მქონდა იდეა საგრანტო კონკურსისთვის	19.9%
არ მქონდა ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ	14.0%
არ მჯეროდა, რომ სამართლიანად წარიმართებოდა შერჩევის პროცესი	12.1%
არ ვიცოდი როგორ დამეწერა საგრანტო განაცხადი	4.4%
ვერ ვაკმაყოფილებდი საგრანტო პირობებს	3.0%
სხვა	1.1%

რესპონდენტების უმრავლესობა არც მომავალში აპირებს ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ კონკურსში მონაწილეობას (27.3% - „არ მივიღებ მონაწილეობას“, 20.1% - „უფრო სავარაუდოა, რომ არ მივიღებ მონაწილეობას“).

რესპონდენტების 24.8% ფიქრობს, რომ სამომავლოდ სავარაუდოდ მიიღებს მონაწილეობას საგრანტო კონკურსში. სულ 10%-ია დარწმუნებული, რომ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.

დიაგრამა 14. დაგაინტერესებდათ თუ არა მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ კონკურსში მონაწილეობა? სულ. კითხვა 53



გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49.2%) იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას მოსახლეობის გაძლიერებაზე მიმართულ პროექტებში მონაწილეობას, თუ დარწმუნებული იქნება კონკურსის სამართლიანობასა და ობიექტურობაში. რესპონდენტთა ნაწილისთვის მნიშვნელოვანია კონკურსში მონაწილეობის ფინანსური პირობები: მეხუთედი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას კონკურსში, თუ მისი მხრიდან ფინანსური მონაწილეობა არ იქნება საჭირო. 14.8 კი თანახმაა მცირე ფინანსური კონტრიბუციის შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა კონკურსში.

დიაგრამა 15. რა შემთხვევაში მიიღებდით მონაწილეობას საგრანტო კონკურსში, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაზე.[17] კითხვა 54

[17] არაუმეტეს ორი პასუხის არჩევის შესაძლებლობა



ბიზნესის კეთება/სამეწარმეო საქმიანობა

წინამდებარე კვლევას კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენდა სამეწარმეო საქმიანობის (მათ შორის სოფლის მეურნეობის) მიმართულებით არსებული გამოცდილების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესწავლა.

გამოკითხულთა უმეტესობას (88.4%) არ აქვს ბიზნესის წარმოების/მეწარმეობის გამოცდილება.

5.5. პროცენტს აქვს დიდი ხნის გამოცდილება, 6.1% კი ბიზნესში ახალბედაა, 2 წლამდე გამოცდილება აქვს.

რესპონდენტებიდან 55 ადამიანი სარგებლობს სხვადასხვა საშეღავათო საგადასახადო რეჟიმით: კერძოდ 40 მათგანი არის „ფიზიკური პირი მიკრობიზნესის სტატუსით“, 12 - „ფიზიკური პირი მცირე ბიზნესის სტატუსით“, 3 კი ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია.

ბიზნესის წარმოების გამოცდილების მქონე რესპონდენტების მესამედი საცალო ვაჭრობაში საქმიანობს, მეოთხედი სოფლის მეურნეობაში, მეხუთედი სასტუმრო ბიზნესში. 16 რესპონდენტი კვების პროდუქტების წარმოებაში ჩართული, 5 - საცხობი / თონის. თითოჯერ დასახელებული საქმიანობის სფეროები იხილეთ დანართი 12. ბიზნეს საქმიანობის სფეროები.

ცხრილი 40. რომელ სფეროში საქმიანობთ? სულ. კითხვა 57

საქმიანობის სფერო	**სიხშირე**
საცალო ვაჭრობა	39
სოფლის მეურნეობა	24
სასტუმრო გესტჰაუსი	21

კვების პროდუქტების წარმოება	16
საცხობი / თონე	5
კაფე რესტორანი	4
სამშენებლო / მშენებლობა და რემონტი	3

ბიზნეს გამოცდილების მქონე რესპონდენტებიდან უმეტესობამ საკუთარი დანაზოგით დაიწყო ბიზნესი, 22.2%-მა საბანკო კრედიტით, 12%-მა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტით. დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით ბიზნესი დაიწყო 6%-მა. კიდევ უფრო მცირე რაოდენობამ ბიზნესის დასაწყებად გამოიყენა ახლობლებისგან აღებული სესხი (4.3%), სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეღავათიანი კრედიტი (2.6%).

ცხრილი 41. ბიზნესი დაიწყეთ: კითხვა 58

	%
საკუთარი დანაზოგით	76.9%
საბანკო კრედიტით	22.2%
სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტით	12.0%
დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით	6.0%
მშობლებისგან/ ახლობლებისგან აღებული სესხით	4.3%
სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეღავათიანი კრედიტით	2.6%
სხვა	1.7%

ბიზნესის წარმოების გამოცდილების მქონე რესპონდენტებიდან უმეტესობა ფიქრობს, რომ მისი ბიზნესი მომავალი 1-3 წლის განმავლობაში გაიზრდება.

დიაგრამა 16. როგორ შეიცვლება თქვენი ბიზნესი მომავალი 1-3 წლის განმავლობაში



გამოკითხულთა ნახევარს არასოდეს უფიქრია ბიზნესის წამოწყებაზე, 39.9%-ს უფიქრია, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა. 10.1%-ს ჰქონდა წარუმატებელი მცდელობები.

რესპონდენტების უმრავლესობისთვის ბიზნესის კეთება მათ რეგიონში ან ძალიან რთულია (37.5%), ან რთული (25.6%). 29.3%-სთვის მეტნაკლებად რთული. მხოლოდ ჯამში 7.6%-სთვის არის ბიზნესის წარმოება რეგიონში ადვილი ან ძალიან ადვილი. იხ. დიაგრამა

ბიზნესის წარმოების სიმარტივის საშუალო ქულა 5 საფეხურიან სკალაზე[18] 2.08 (მაქსიმალური შესაძლო 5 ქულიდან).

დიაგრამა 17. თქვენი აზრით, რამდენად ადვილია თქვენს რეგიონში ბიზნესის წარმოება? სულ. კითხვა 62



[18] 1- „ძალიან რთულია“, 5 – „ძალიან ადვილია“

ცხრილი 42. თქვენი აზრით, რამდენად ადვილია თქვენს რეგიონში ბიზნესის წარმოება? განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. კითხვა 62

მუნიციპალიტეტი	საშუალო ქულა
ამბროლაური	2.20
ონი	2.59
ცაგერი	1.62
ლენტეხი	2.12

რესპონდენტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ბიზნესის წამოწყებისთვის ძირითადი დაბრკოლება ფინანსური რესურსებია: 64.4%-სთვის ეს დაბრკოლება საწყისი კაპიტალის უქონლობაა, 25.4%-სთვის მაღალი პროცენტი საბანკო კრედიტებზე. მხოლოდ 14.6% თვლის რომ არ აქვს საკმარისი ცოდნა. მეხუთედს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიზნესი. დაწვრილებით იხ. დიაგრამა

დიაგრამა 18. რა გიშლით თქვენ ხელს ბიზნესის დაწყებაში?სულ. კითხვა 63



ბიზნესი წამოწყებისთვის ხელშემწყობ ფაქტორებში წამყვანი კვლავ საწყისი კაპიტალი (69.9%) და შეღავათიანი კრედიტის ხელმისაწვდომობაა (44%). დაწვრილებით იხ. დიაგრამა

დიაგრამა 19. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები შეგიწყობდათ ხელს ბიზნესის დაწყებაში? სულ. რამდენიმე პასუხის შესაძლებლობა. კითხვა 64



სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამებიდან რესპონდენტები ყველაზე უკეთ ინფორმირებულები არიან მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის (1.54 საშუალო ქულა შესაძლო 3 ქულიდან)[19] და აგრო და ეკო ტურიზმის განვითარების პროგრამის (1.43 საშუალო ქულა) შესახებ.

ყველაზე დაბალია ინფორმირებულობის დონე ექსპორტის მასტიმულირებელ საერთაშორისო პროგრამებზე (1.17 საშუალო ქულა) და ონლაინ პლატფორმაზე TradewithGeorgia.com (1.16 საშუალო ქულა) რეგისტრაციის შესახებ.

ცხრილი 43. რამდენად ინფორმირებული ხართ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ? სულ. კითხვა 65

	საშუალო ქულა	არ მაქვს ინფორმაცია	მწირი ინფორმაცია მაქვს	სრული ინფორმაცია მაქვს
სახელმწიფო პროგრამა უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი	1.27	77.0	18.9	4.1
ბიზნეს ექსპორტი	1.22	80.7	17.1	2.2

[19] სამსაფეხურიანი სკალა: 1 - „არ მაქვს ინფორმაცია“, 2- „მწირი ინფორმაცია მაქვს“, 3 - „სრული ინფორმაცია მაქვს“

აგრო და ეკო ტურიზმის განვითარება	1.43	60.4	36.3	3.3
მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა	1.54	50.6	44.7	4.7
რეგისტრაცია ექსპორტის მასტიმულირებელ საერთაშორისო პროგრამებზე	1.17	85.2	12.8	2.0
სესხების და ლიზინგის თანადაფინანსების პროგრამა	1.23	79.6	18.0	2.4
სახელმწიფო პროგრამა საკრედიტო-საგარანტიო სქემა	1.25	76.8	21.0	2.2
რეგისტრაცია ონლაინ პლატფორმაზე TradewithGeorgia.com	1.16	85.8	12.1	2.1

ტურიზის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშემწყობი პროგრამებიდან რესპონდენტები ყველაზე მეტად ინფორმირებულნი არიან პროექტ „ღვინის გზის“ შესახებ (1.47 საშუალო ქულა მაქსიმალური შესაძლო 3 ქულიდან)[20], მომდევნო ადგილზე ტურისტული ობიექტების, ინფოტურისა და ტურისტული სერვისების რეგისტრაციაა (1.4 საშუალო ქულა). ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულნი კი ტურიზის ეროვნული ადმინისტრაციის ტრენინგებისა და სასწავლო კურსების შესახებ არიან (1.32 საშუალო ქულა).

ცხრილი 44. რამდენად ინფორმირებული ხართ ტურიზის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშემწყობი პროგრამების შესახებ. სულ. კითხვა 66

	საშუალო ქულა	არ მაქვს ინფორმაცია	მწირი ინფორმაცია მაქვს	მაქვს სრული ინფორმაცია
ტურისტული ობიექტების, ინფოტურისა და ტურისტული სერვისების რეგისტრაცია	1.40	63.8	32.1	4.1
პროექტი ღვინის გზა	1.47	57.0	39.4	3.6
ტრენინგები და სასწავლო კურსები	1.32	70.2	27.3	2.5

სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებიდან ყველაზე მაღალი ინფორმირებულობა დაფიქსირდა მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამისა (1.55 საშუალო ქულა სამსაფეხურიან სკალაზე), შეღავათიანი აგროკრედიტის (1.35 საშუალო ქულა) და აგროდაზღვევის (1.26 საშუალო ქულა) შესახებ.

რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად ინფორმირებულები არიან გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის (1.09 საშუალო ქულა) და მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის (1.09 საშუალო ქულა),

[20] სამსაფეხურიანი სკალა: 1 - „არ მაქვს ინფორმაცია“, 2- „მწირი ინფორმაცია მაქვს“, 3 - „სრული ინფორმაცია მაქვს“

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (1.08 საშუალო ქულა)და ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის (1.08 საშუალო ქულა) შესახებ.

ცხრილი 45. რამდენად ინფორმირებული ხართ სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების შესახებ?სულ. კითხვა 67

	საშუალო ქულა	არ მაქვს ინფორმაცია	მწირი ინფორმაცია მაქვს	მაქვს სრული ინფორმაცია
მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა	1.55	47.3	50.8	1.9
არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა	1.17	84.4	14.7	.9
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	1.19	82.1	16.6	1.3
შეღავათიანი აგროკრედიტი	1.35	66.6	31.9	1.5
დანერგე მომავალი	1.20	81.4	17.3	1.3
აგროდაზღვევა	1.26	75.6	23.2	1.2
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	1.13	88.5	10.5	1.0
თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	1.14	86.4	12.9	.7
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი	1.09	92.0	7.3	.7
მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა	1.09	91.4	7.9	.7
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (პროგრამა ხორციელდება 4 საპილოტე რეგიონში: იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი)	1.08	93.2	5.9	.9
ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამა	1.08	93.2	6.1	.7
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	1.20	82.0	16.1	1.9
ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა	1.08	93.1	6.2	.7
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა	1.15	86.2	13.1	.7

დაბრუნებული მიგრანტების / ემიგრაციაში მყოფი პირების საჭიროებები

რესპონდენტების პასუხების თანახმად 86.5%-ს არ ჰყავს ემიგრანტი ოჯახში.

დიაგრამა 20. გყავთ თუ არა ოჯახში ემიგრანტი ან ყოფილი ემიგრანტი? სულ. კითხვა 69



ემიგრანტებიდან 49.6% ქალია, 50.4% კაცი. ემიგრანტების ყველაზე დიდი წილი მოდის 30-45 წლის ასაკის ადამიანებზე. იხ. დიაგრამა

დიაგრამა 21. ემიგრანტების საშუალო ასაკი



გამოკითხულთა უმეტესობის ოჯახებიდან ემიგრაციაში 2 წლამდე დროის პერიოდში არიან წასულები.

ემიგრაციიდან დაბრუნებული პირების რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამების შესახებ სმენია 17 რესპონდენტს. თუმცა კონკრეტული პროგრამის დასახელება გაუჭირდათ. მათ მიერ დასახელდა შემდეგი ჩამონათვალი:

- ბიზნესის დასაწყებ თანხას გაძლევდა სახელმწიფო
- გრანტი ბიზნესის დასაწყებად 3-5000 ლარის ფარგლებში
- დაბრუნებაზე აძლევდნენ ფულს
- ემიგრანტებისათვის ბიზნესის წარმოების ხელშეწყობის პროგრამები
- ემიგრანტთა დაფინანსება მცირე ბიზნესის დასაწყობად
- ფინანსური მხარდაჭერა მიკრო ბიზნესის ასაწყობად

ემიგრაციიდან დაბრუნებული პირების რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამებით რესპონდენტებიდან / მათი ოჯახის წევრებიდან არავის უსარგებლია.

რესპონდენტების მოლოდინი ემიგრაციაში წასულების დაბრუნებასთან დაკავშირებით ასეთია: თითქმის მესამედი (32.1%) დარწმუნებულია, რომ მათი ოჯახის წევრი უახლოეს მომავალში არ დაბრუნდება ემიგრაციიდან, 9.2% ფიქრობს, რომ უფრო არ ჩამოვა, 27.5% ფიქრობს, რომ ალბათ ჩამოვა. 23.7% კი დარწმუნებულია, რო მისი ოჯახის წევრი დაბრუნდება ემიგრაციიდან. 7.6%-ს პასუხი არ აქვს ამ კითხვაზე.

დიაგრამა 22. რამდენად სავარაუდოა, რომ თქვენი ოჯახის წევრი ახლო მომავალში (1-2 წელი) დაბრუნდება ემიგრაციიდან?



კითხვაზე რა შეუწყობდა ხელს ემიგრანტების დაბრუნებას მათ მუნიციპალიტეტში[21], რესპონდენტებს ჰაქონდათ შემდეგი პასუხები: დასაქმება, შრომის შესაბამისი / მაღალი ანაზღაურება, ეკონომიკის განვითარება, ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

[21] ღია კითხვა - რესპონდენტებს თავად უნდა გაეცათ პასუხი დასმულ კითხვაზე

ფოკუს ჯგუფების შედეგები

სამოქალაქო აქტივობა და მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი პრობლემების გამოვლენასა და გადაწყვეტაში.

ოთხივე მუნიციპალიტეტში, ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, მოსახლეობა პასიურია. საკუთარი ინიციატივები მცირე ან თითქმის არ არის. მოსახლეობის გააქტიურება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის (მაგ. სოფლის პროგრამა), ან დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ხდება. პასიურობის ერთ-ერთ მიზეზად, მოსახლეობის არაინფორმირებულობა სახელდება.

> ***„საზოგადოება ძალიან ინერტულია, არ ვიცით რა და როგორ უნდა მოვითხოვოთ, როგორ ჩავერთოთ ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში. მეტი ინფორმაციაა საჭირო და მეტი მუშობაა საჭირო მოსახლეობასთან. ნაკლებად იციან რის უფლება აქვთ რა მოვალეობები აქვთ, რის შესაძლებლობა აქვს როგორც მოქალაქეს და რა შედეგებზე გავა აქტიურობის შემთხვევაში, როგორც მოქალაქე.“***

რაც შეეხება პრიორიტეტების გამოვლენასა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის გააქტიურებას: ოთხივე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმეტესობის მიერ, გამოითქვა მოსაზრებები, რომ ადგილობრივი ხელისუფლება იცავს ფორმალურ ვალდებულებას და მოსახლეობას იწვევს ბიუჯეტის განხილვაზე. სოფლებში ტარდება სოფლის კრებები და ხდება მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა, თუმცა მონაწილეთა ნაწილის აზრით, მაინც ხერხდება ისე, რომ სოფლის კრებაზე, სელექციურად მოვიდეს მოსახლეობის ის ნაწილი, რომ ნაკლებად იქნება კრიტიკული შეთავაზებული საკითხის მიმართ.

მუნიციპალიტეტი აწყობს ბიუჯეტის საჯარო განხილვას. საჯაროდ, მათ შორის სოციალური ქსელითაც დებს ანონსს, თუმცა განხილვას, უმეტესად მოხელეები ესწრებიან. მოხელეებს, „ვალდებულებად აქვთ ქცეული“ განხილვაზე დასწრება. მათი პოზიციიდან გამომდინარე, განხილვის პროცესში ნაკლებად აყენებენ წინადადებებს ან გამოხატავენ კრიტიკულ შენიშვნებს. შესაბამისად მონაწილეობა ფორმალურია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვის არა მოხელე ან საბიუჯეტო დაწესებულების თანამშრომლები ხშირად ის პირები არიან, ვისი საქმიანობაც უშუალოდ უკავშირდება ბიუჯეტს. მაგალითად ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვინც მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. სოფლის მოსახლეობის ნაწილს, ვისაც შესაძლოა უნდოდეს საკუთარი მოსაზრების გაზიარება, ან განხილვის პროცესში ჩართვა, უჭირს ჩამოსვლა სოფლებიდან. ზოგადი სურათი კი გვეუბნება, რომ მოსახლეობის უმეტესობა დასწრების სურვილს არ გამოხატავს, რამე თუ, ნაკლებად იციან რა პროცესში მონაწილეობისთვის უნდა მოვიდნენ ბიუჯეტის განხილვაზე დასასწრებად.

სოფლის კრებებს, უფრო მეტად ესწრება მოსახლეობა. თუმცა იმის გამო, რომ უმეტესად თემის ერთ-ერთ სოფელში ტარდება, გადაადგილების, შიდა ტრანსპორტისა და მოსახლეობის

ასაკობრივი სტატუსის გამო უმეტესად მხოლოდ იმ სოფლის მოსახლეობა დადის, სადაც ტარდება კრება. მართალია ბოლო დროს თავად წარმომადგენლები დადიან სოფლებში, თუმცა ფოკუს ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, თემი მაინც ძალიან პასიურია ადგილობრივი პრობლემების დაყენების საკითხში.

> ***„მოსახლეობის ძალიან ცოტა ნაწილი მიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვაზე, ძირითადად მაინც ისინი მივდივართ ვისაც საქმიანობა აწყობილი გვაქვს ბიუჯეტზე, მაგალითად ინფრასტრუქტურულ პროექტებში ვმონაწილეობთ და გვაინტერესებს რა და როგორ დაიგეგმა მომავალ ბიუჯეტში ან როგორ დაიხარჯა წინა.“***
>
> ***„პროცესი ასეთის, მოსახლეობას ეკითხებიან სოფლის პროგრამის ფარგლებში რა უნდა გაკეთდეს, თუმცა ბევრის გასაკეთებლად ფული არცაა. სოფლის ბიუჯეტი მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული მაგალითად 250 კომლიან სოფელს წლიურად 14000 ლარი უწევს. ჩვენს სოფელში და ამ თანხით სასაფლაოს 100 მეტრიანი მონაკვეთი შემოიღობება და მათივე თხოვნით გადაიხურა ღია სარიტუალო ადგილი. მაინც ვიტყვი, რომ მოსახლეობა არ მოდის კრებებზე, არ მონაწილეობს მასში პოზიცია კი ასეთია „ფულის საკეთებლად გვიბარებენ“. სინამდვილეში 100 კაცის პრობლემებზე სასაუბროდ მხოლოდ 20 თუ მოდის და დანარჩენი 80-ის ხმა არსად ისმის. ინერტულობა უფრო მენტალობის საკითხია და თაობათა ცვლა უშველის, თუმცა რაჭა იცლება და თაობების ცვლის ბუნებრივი პროცესიც შეფერხებულია“***
>
> ***„სოფლის კრებებს ურო ესწრება მოსახლეობა ვიდრე ბიუჯეტის განხილვებს მუნიციპალიტეტში. მოსახლეობა თავად არის ინერტული, არ აინტერესებთ რა უნდა გაკეთდეს მათ რას აპირებს მუნიციპალიტეტი. უკმაყოფილების გამოთქმა ყველას უყვარს, თუმცა არამიზნობრივად და არა საჭირო ადგილზე.***
>
> ***სოფლის პროგრამების შესახებ ყველა ინფორმირებულია, თუმცა ყველამ იცის, რომ იმ თანხით, რომელიც გამოყოფილია ერთი სოფლისთვის ძალიან მცირე რამის გაკეთება შიძლება, ამიტომ მოსახლეობა დემოტივირებულია. უმთავრესად ისეთი პროექტების დაფინანსება ხდება, რომელიც მუნიციპალიტეტში შეთანხმებულია და არა ქვევიდან წამოსული საჭიროებებისა“***
>
> ***„სოფლის პროგრამას ბევრი ხარვეზი აქვს. წლიდან წლამდე როგორ შეიძლება ერთიდაიგივე საკითხში იხარჯებოდეს ფული, მაგრამ არ კეთდებოდეს ისე, რომ მეორე წელს ისევ გასაკეთებელი იყოს. მაგალითად, ყოველ წელს იხრეშება შიდა გზის რაღაც მონაკვეთი, მომდევნო წელს ეს ჩამორეცხილია და ისევ გასაკეთებელი. ისე არ ხდება, რომ სოფლის რაღაც ნაწილი კეთდებოდეს კაპიტალურად და აღარ სჭირდებოდეს მომდევნო წელს შეკეთება. კეთდება ისეთი პროექტები, რომელიც საერთოდ არ სჭირდება მოსახლეობას, მოდაში იყო მოედნები და ტრენაჟორები. მაგალითად არსებობს გარდამავალი პროექტები, რომელიც არ მთავრდება და შემდეგ წელს ვერ სვამენ ბიუჯეტში და რჩება გაუკეთებელი.“***

„მეც დავამატებ, რომ რეალურად მტკივნეული და აუცილებელი საკითხის გადაჭრა არ ხდება და წლიდან წლამდე ერთი და იგივე პროექტი ფინანსდება. ამბროლაურის სოფლებში ძირითადად. დიდი პრობლემაა კანალიზაცია, წერტილოვანი კანალიზაციის მოწყობა არ არის სასურველი, რადგან არსებობს წყაროები და სად შეიძლება გაჟონოს ამ კანალიზაციამ არ ვიცით, დაბინძურებს წყალს და შესაბამისად ეკოლოგიური პრობლემები შეიქმნება. მევენახეობაა განვითარებული არ არის სასურველი ამ წყლებით დაბინძურდეს მიწისქვეშა წყლები და იმან კვებოს ვენახი. მესმის, რომ დიდი თანხები სჭირდება კანალიზაციის, მაგრამ მაინც ძალიან მინდა ჩვენი შეხვედრა ამ პრობლემის დაყენებისთვისაც გამოვიყენო. მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარება დამოუკიდებლად არ შეუძლია, თუმცა ვერც მუნიციპალიტეტი დაარწმუნა ამის საჭიროებაში. ვიცი, თუ დაიწყება კანალიზაციის პროექტი, ფიზიკური ძალით ჩაერთვებიან. ერთხელ უკვე იყო პრეცედენტი, იგივე ჭრებალოში მოსახლეობა ფიზიკური შრომით ჩაერთო წყლის პრობლემის მოგვარებაში და პრობლემაც მოგვარდა, მართალი მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ძალიან რთული აღმოჩნდა მაშინ, მაგრამ ახლა საკუთარი შრომის შედეგი ნახეს. სხვა მხრივ, ვიტყოდი რომ ადგილობრივი თემი ძალიან, ძალიან პასიურია, არ იცის როგორ დაასყენოს საკითხი, საუბრობენ პრობლემაზე მაგრამ საუბარზე შორს ვერ მიდიან. "

ყველა ფოკუს-ჯგუფზე გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობს ადამიანთა გამოკვეთილი ჯგუფები, ე.წ ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან აქტიურობით. მათი ძირითადი საქმიანობა ზოგ შემთხვევაში სამოქალაქო ჩართულობაა და საზოგადოებრივი საქმიანობა, მაგალითად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, უბრალოდ სოციალურად აქტიური ადამიანები, ან რომელიმე კონკრეტული ფორმალური თუ არაფორმალური ბიზნესის, ფერმერული გაერთიანების, გამოყენებითი ხელოვნებისა და ა.შ წარმომადგენლები. ფოკუს-ჯგუფებზე დაიკვირვებოდა, რომ მათ აქვთ თემის გარშემო გაერთიანების პოტენციალი, თუმცა ინტერესთა დაცვისა და ადვოკატირების მექანიზმების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულები არიან და ამის გარდა არც თუ მაღალია ერთმანეთის ნდობა.

„ჩემთვის სამოქალაქო აქტივობა ჩემი ბიზნესია, ფარდაგების სახელოსნოს საშუალებით ვცდილობ რომ მოვიზიდო და დავაინტერესო ადამიანები ისწავლონ ხელობა შექმნან და დასაქმდნენ. პარალელურად ვმუშაობ სამხატვრო სკოლაში და ბავშვებს ვცდილობ ავუხსნა, რომ ხელსაქმეც პროფესიაა და ამ პროფესიითაც შეიძლება საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება."

„ორგანიზაცია ედენა USAID -ის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც ხალიჩების საწარმოს როლ მოდელადაც იქცა. პროქტის ფარგლებში სახელოსნო მოაწყვეს 15 ქალი დაასაქმეს თავისუფალი გრაფიკით და პროდუქციას ასაღებენ, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მაგალითად აშშ-ში. ედენა სამოქალაქო აქტივობის მაგალითადაც სახელდება ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ისინი დაასახელეს, როგორ ლაგის აუცილებელი წევრები."

ლენტეხის ფოკუს-ჯგუფში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, თუ კარგად დაარწმუნე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები საქმიანობის სარგებელში, მოდიან თანამშრომლობაზე და მხარდაჭერაც შეუძლიათ.

> ***„ჩვენმა ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი, რომელიც ქალთა მხარდაჭერისკენაა მიმართული, გვაქვს სოციალური საწარმო სილამაზის სალონის სახით და მოწყვლად ქალებს ვეხმარებით დასაქმდნენ. ამ ეტაპზე ახალ პროექტს ვწერთ ამ საწარმოსთვის, მუნიციპალიტეტი მზაობას გამოთქვამს დაგვეხმაროს, გვპირდებიან, ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში თანადაფინანსებაც კი გამოყონ და ამისთვის მზად არიან. მართალია ჯერ არ შემდგარა ჩვენი ამგვარი თანამშრომლობა, მაგრამ მზაობა არის. ამიტომ მგონია, თუ აზრიან პროექტებს წარვადგენთ ჩვენი მუნიციპალიტეტი ფინანსურადაც და არა მხოლოდ ტექნიკურად დაგვიჭერს მხარს. ახლა ამ ეტაპზე ვართ. ჯერ პროექტი წერის ეტაპზე ვარ და ყველა მუნიციპალიტეტმა რაჭამაც და ქვემო სვანეთმაც გამოთქვა მზაობა პროექტს მხარი დაუჭიროს“***

თუმცა, როგორც ყველა სხვა ფოკუს-ჯგუფში, აქაც მონაწილეების უმეტესობა თანხმდება, რომ აქტიურები და ინიციატივინი ერთეულები არიან. მუნიციპალიტეტიც ისეთ აქტივობას უჭერს მხარს მარტივად, სადაც მისი ფინანსური მხარდაჭერა არ არის საჭირო და მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი თანხმობა საკმარისია, რომელიმე კერძო ინიციატივისა ან დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელებისთვის.

მონაწილეთა უმეტესობის აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტები, რომლებიც მიმართულია მოქალაქეთა აქტივობის გასაძლიერებლად, ეფექტურია, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამები თუ აქტივობები. თუმცა აღნიშნული პროექტები მოკლევადიანია და ბენეფიციართა ის რაოდენობა, რომელიც ჩართულია დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში არ არის საკმარისი მდგრადობის შენარჩუნებისთვის.

ფოკუს-ჯგუფებზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით სამიზნე მუნიციპალიტეტებში, მოსახლეობის დაბალი აქტივობა, ერთის მხრივ 1. არაინფორმირებულობით, და 2. საკუთარი უფლება მოვალეობების არცოდნით აიხსნება, ხოლო მეორეს მხრივ 3. რეგიონის სპეციფიკით - რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში უმეტესაც ასაკოვანი ადამიანები ჭარბობენ და მათი აქტივობა ბუნებრივად დაბალია. ახალგაზრდები არ მაგრდებიან მუნიციპალიტეტის სოფლებში და მიგრირებენ ქალაქებში ან დედაქალაქში.

> ***„რაჭაში ასაკოვანია მოსახლეობა, მიგრაცია მაღალია შესაბამისად, მოსახლეობას ასაკიც არ უწყობს ხელს იაქტიუროს. დაცლილია მოსახლეობა ახალგაზრდებისგან რაჭაში მუდმივად მხოლოდ ასაკოვანი ადამიანები სახლობენ, ახალგაზრდების უმეტესობა წასულია დიდ ქალაქებში ან ვინც დარჩენილია, საჯარო სექტორი წარმომადგენლები არიან. საჯარო სექტორის წარმომადგენლები ვერ იტყვიან იმას რაც საჭიროა, სამწუხაროდ. ის აქტიური ნაწილი კი ვინც უნდა იყოს ჩართული სამოქალაქო აქტივობაში მიგრირებულია. 7 წელია აქვ გადმოვსახლდი და ვხედავ რომ ეს პრობლემა გვიდგას მოსახლეობას. ადგილზე დასაქმების შესაძლებლობები***

არა გვაქვს ამიტომ ძირითადი სამუშაო ძალა გასულია რეგიონიდან. ვინც აქ არის უმოქმედო და ინერტულია.“

„მე რამდენიმე წელის გადმოვსახლდი ამბროლაურში და დავიწყე ბიზნესი, რასაც ვუყურებ მოსახლეობაში არაა ახალგაზრდები და გული მწყდება. ანდა როგორ უნდა იყოს ხელშეწყობას ვერ ხედავენ. დავტოვე ქალაქში კარგი სამსახური და სახლი და გადმოვედი სოფელში, შევხედავ რამდენიმე ხანი და მეც წავალ უკან. არადა არ მეთქმის პასიური, იმიტომ რომ მეტი ფინანსური შესაძლებლობა მაქვს და ვცდილობ ჩემს სოფელს რამე გავუკეთო. ჩემი შეფასებით, ძალიან ინერტულია სოფლის მოსახლეობა, არა აქვთ იმედი და მაგიტომ“

„ახალგაზრდა ოჯახებისთვის ძალიან რთულია აქ ცხოვრება, ამიტომ ვერ მაგრდებიან ადგილზე და უწევთ სხვაგანა გადასახლება. მაგალითად სკოლა და ბაღი თუ არ გაქვს სოფელში სად იაროს ბავშვმა და მოზარდმა. კარგი სკოლის მოსწავლეებს ატარებს სკოლის ტრანსპორტი, მაგრამ ბაღის ბავშვებს არ ატარებს ეს რა გამოდის ერთი ოჯახიდან ბავშვი დადის სკოლაში მეორე ბაღში, რა ქნას მშობელმა? გამოდის, რომ არ თვითონ უნდა ატაროს ბაღის ბავშვი, ან სახლში დატოვოს და სკოლის მოსწავლემ იაროს სკოლაში. ასეთი შემთხვევაც იყო ნიგვზნარში ბაღის მოსწავლე და მშობელი ჩაისვა სკოლის ტრანსპორტმა და პატრულმა 500 ლარიანი ჯარიმა დაუწერა. შემდეგ მერთან შეთანხმებით და ნებართვით გადმოყავდათ ბავშვი ბაღში.“

ყველა ფოკუს-ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მათ მოსახლეობა უყურადღებობას გრძნობს, როგორც ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო დონორების მხრიდან. თვლიან, რომ რეგიონის ცენტრს მეტი ყურადღება ექცევა რაც რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აქტივობას ამცირებს. მაგალითად: ამბროლაურში მეტი შესაძლებლობებია ვიდრე ონში, ცაგერში თვლიან, რომ რაჭას და ლენტეხს მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ცაგერს. არა ცენტრალური მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი პოტენციალი არ არის შესაბამისად დაფასებული, რაც მოსახლეობის დემოტივაციას იწვევს.

„ონის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, აქვს სურვილი ჩაერთონ პროცესებში, მიიღონ მეტი ინფორმაცია, თუმცა შესაძლებლობებია ნაკლები. ყველა აქტივობა მაინც ამბროლაურში ხდება, ანუ რაჭის ცენტრში. ნაკლები ყურადღება ექცევა ონის მუნიციპალიტეტს. დიდი სურვილის მიუხედავად, დაინტერესებული პირებისთვის რთულია წავიდეს ამბროლაურში და ჩაერთოს რაიმე სამოქალაქო პროცესში იქ. გზის ხარჯების და ზოგადად გადაადგილების პრობლემაა, ვერ დარჩება ონში დიდხანს, მაგალითად ქალი ბავშვებს ვერ დატოვებს და ვერ წავა მეზობელ რაიონში სხვადასხვა ტრენინგზე თუ შეხვედრებზე დასასწრებად“

სამოქალაქო აქტივობის დაბალი დონის კიდევ ერთ მიზეზად უნდობლობა სახელდება. მოსახლეობა არ ენდობა მუნიციპალიტეტს. მათ მიერ განხორციელებული პროექტები მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს არ ეხმიანება და შესრულებული სამუშაოების შედეგებიც არამდგრადია.

„მხოლოდ გზის მოხრეშვა წყალი და გაზი ვერ დაამაგრებს ახალგაზრდა ოჯახს ადგილზე, მას სხვა სახელმწიფო სერვისების განვითარებაც უნდა მიჰყვეს, თუ რამე კეთდება აუცილებელია რომ ბოლომდე გაკეთდეს. პრიორიტეტების განსაზღვრა თავად მოსახლეობასაც უჭირს, ყოველ წელს როგორ შეიძლება ერთიდაიგივე პრიორიტეტი არსებობდეს სოფელში. ეს იმას ნიშნავს ან არ ვიცი არ მჭირდება ან ცუდად კეთდება ის რაც კეთდება. მოსახლეობის შრომითი კონტრიბუცია მცირეა, მეტს რომ დებდეს თავად მოსახლეობაც, მგონია უფრო გრაძელვადიანი შედეგი ექნებოდა ამ სოფლის პროგრამებს. ერთ წელს განხორციელებულ პროექტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გაგრძელება მომავალ წელს და ეს მოსახლეობამ უნდა იცოდე. ისევ გზის მოხრეშვაზე ვისაუბრე: გზა საჭიროა, მაგრამ ყველამ ვიცით რომ ამ წელს მოხრეშილი გზა მომდევნო წლისთვის ისევ მოსახრეში იქნება, შესაბამისად მომავალ წელს პრიორიტეტებიდან ასარჩევიც არაფერი რჩება, ისევ გზა უნდა მოიხრეშოს. გზა ყველასთვის პრიორიტეტულია ვთანხმდებით. მე ვფიქრობ ერთი კონკრეტული მონაკვეთი ბოლომდე გაკეთდეს, დაიგოს ბეტონი და მომდევნო წელს ისევ დაიგოს, ოღონდ გზის სხვა მონაკვეთზე. დაიღალა მოსახლეობა, ნდობა აქვს დაკარგული და იციან, რომ მაინც უკვე წინასწარ შერჩეული, მართალია საჭირო, მაგრამ არა შედეგზე ორიენტირებული პროექტები დაფინანსდება“

„მიუხედავად სოფლის კრებებზე გამოთქმული საჭიროებების, ზოგჯერ სრულიად უსარგებლო პროექტები კეთდება, მაშ რა აზრი აქვს კრებებს და საჭიროებების იდენტიფიცირებას. მაგალითად მოედნების კეთების მოდა იყო, კი ბატონო კარგია ახალგაზრდები სპორტული ცხოვრებით დაკავდებიან, მაგრამ მოედანი გააკეთეს ტყეში, სადაც სპეციალურად თუ არ წახვედი, ან შეჯიბრი თუ არ მოაწყვე კონკრეტულ ადგილას, ისე ვერ ისარგებლებ. მეორეს მხრივ ზაფხულში, დამსვენებლებისთვის ძალიან კარგ ადგილზეა აღნიშნული მოედანი და შეიძლება ტურისტული რეგიონისთვის გამართლებულიც იყოს, რასაც ხელზე იხვევს მუნიციპალიტეტი. მაგრამ ვფიქრობ მაინც ადგილობრივ მოსახლეობაზე ორიენტირებული უნდა იყოს ის პროექტები, რაშიც ადგილობრივი ბიუჯეტის ფული იხარჯება.“

შაჯამება: მოქალაქეები არ არიან აქტიურები, არა აქვთ ინფორმაცია აქტივობის ფორმების და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.

ზოგადი ეკონომიკური ფონი და მიგრაცია უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ სურათზე. დაცლილია სოფლები, დიდია ეკონომიკურად არააქტიური ასაკის მქონე ადამიანთა წილი მთლიან მოსახლეობაში, რაც თავის მხრივ სამოქალაქო აქტივობის დაბალ დონეს განაპირობებს.

მუნიციპალიტეტი იცავს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ფორმალურ მექანიზმებს, თუმცა მის მიერ განხორციელებული პროგრამები თუ პროექტები ნაკლებად ეფექტური და არამდგრადია, რაც უშლის ხელს სამოქალაქო აქტივობას და მოსახლეობას პასიური მოსარგებლის პოზიციაში ტოვებს.

ყველა მუნიციპალიტეტში არსებობენ აქტიური მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ მოტივაცია ჩაერთონ ადგილობრივი თემის საჭიროებების ადვოკატირებაში, თუმცა მათი სამოქალაქო აქტივიზმის პოტენციალს სჭირდება განვითარება და ჩართულობის მექანიზმების ცოდნას გაძლიერება.

ეკონომიკური გაძლიერების დონორების მიერ დაფინანსებული და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის მაგალითები, და არსებული ბარიერები

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით ეკონომიკური გაძლიერების პროგრამები მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ისაუბრეს არა მხოლოდ დადებითი გამოცდილების შესახებ, მაინც თვლიან, რომ ამ სახის პროექტების განხორციელება ხელს უწყობს როგორც ბიზნეს გარემოს გაჯანსაღებას ადგილზე, ასევე მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას.

ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებს შორის სახელდება, როგორც სახელმწიფო პროგრამები, ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტები. „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“ „ძლიერი სოფლის პროგრამა“. „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ „შეღავათიანი აგრო კრედიტი“

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების ერთი ნაწილის აზრით დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ეკონომიკური პროექტები უფრო საინტერესო და ეფექტურია, ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტები. მონაწილეთა მეორე ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფო პროგრამები მეტად ეფექტური იქნებოდა, მოსახლეობის უფრო დიდ ნაწილს რომ ჰქონდეს მათში ჩართვის შესაძლებლობა, მეტს შეეძლოს საგრანტო განაცხადის შედგენა და ა.შ.

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ბიზნესის ხელშეწყობის და ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შესახებ მეტი ინფორმაცია იმ ადამიანებს აქვთ ვისაც მოქმედი ბიზნესი აქვთ ან და სახელმწიფო სექტორში არიან დასაქმებულები.

> ***„მე მივიღე აწარმოეს ფარგლებში 5000 ლარი, კარგადაც გამოვიყენე და კმაყოფილიც ვარ, მაგრამ ჩემთან ერთად ისეთმა ხალხმა მიიღო 10000 და მეტი, რომელთა ბიზნესს ერთი დღე არ უმუშავია. ასეთი ხალხის ნაწილი დღესაც სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობენ და ისევ ბიუჯეტიდან იღებენ ხელფასს. ასეთი ფაქტები არ უნდა ხდებოდეს, ნდობას უკარგავს პროექტებსაც და ადგილობრივი ბიზნესის წამოწყების მსურველსაც.“***

მონაწილეთა ნაწილი, ვისაც ჰქონდათ სრული ინფორმაცია ორივე სახის პროექტებისა და პროგრამების შესახებ და ზოგ შემთხვევაში თავად იყვნენ პროგრამების მონაწილეები, თვლიან რომ საერთაშორისო პროგრამები უფრო ეფექტური და სამართლიანია, უფრო კარგი პირობები და უფრო კომფორტულია, ვიდრე სახელმწიფო პროგრამები.

მონაწილეთა უმრავლესობა, საერთაშორისო პროექტებს უფრო ენდობა, ვიდრე სახელმწიფოს. მოსწონთ, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში უფრო მეტად გრანტები ჭარბობს და ნაკლებად ორიენტირებულია თანადაფინანსებაზე. თანადაფინანსების არსის გაცნობიერების მიუხედავად, თვლიან რომ სახელმწიფო პროგრამებში, არარეალურად დიდია მოთხოვნილი თანადაფინანსების წილი. აღნიშნული მოსაზრება, იმ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებზეც გამოითქვა, სადაც გრანტის მიმღებს თანადაფინანსების მოპოვების ვალდებულებაც აქვს. მონაწილეთა ინფორმაციით თანადაფინანსების წესი და ოდენობა კვლევებს ეფუძნება, კვლევის მონაცემების მოგროვებისთვის პროექტის ავტორები სამიზნე მუნიციპალიტეტებსაც მიმართავენ. მიიჩნევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მოსახლეობის ეკონომიკური და მათი თანადაფინანსების შესაძლებლობებზე, გადაჭარბებულია.

„მე მახსენდება USAID -ის ძლიერი სოფლის პროგრამა მაგრამ ვერ მივიღე მონაწალეობა იმის გამო, რომ მაღალი იყო თანამონაწილეობის პროცენტი. მთლიანი თანხის 50%-ის თანამონაწილეობას ითხოვდნენ და ეს პირობა ბევრისთვის შეუსრულებელი აღმოჩნდა. შემეძლო ცხადია სესხი ამეღო ბანკიდან და ამ საშუალებით მიეღო 50%-იანი თანამონაწილეობა, მაგრამ ვერ გავბედე სესხის აღება, რადგან არ მქონდა სტაბილური შემოსავალი. ვერ გავრისკე ამიტომ ასეთ პროგრამაში უფრო სასტუმროები იღებენ ვისაც შეუძლია სესხის აღება ნაკლები რისკები აქვთ.

მე ვფიქრობ ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებული პროექტები უნდა ხორციელდებოდა და წინასწარ შეფასდეს შეუძლია თუ არა ადგილობრივ ბიზნეს ინიციატივებს იმ თანამონაწილეობით თანხის ჩადება, რომელსაც ითხოვენ. მაგალითად გრანტის მაქსიმალური ოდენობა 4000$ იყო და მინიმალური რა შეგეძლო მოგეთხოვა არ უნდა ყოფილიყო 2000$-ზე ნაკლები, შესაბამისად, მეორე 2000$ პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა რომ თანამონაწილეობა დაემტკიცებინა, დამეთანხმებით ჩემნაირი ბიზნესისთვის (ხალიჩების ბიზნესი) ასეთი თანხის აკუმულირება ძალიან ძნელია შესაბამისად ვერც მივიღე მონაწილეობა. ასეთი შემთხვევაში ისევ ისეთი ბიზნესი განვითარდება, ვისაც ფული აქვს და დიდი ბიზნესია.“

„სოფლის განვითარებას აქვს კარგი პროგრამები, მაგრამ ზოგიერთი ჩვენს მუნიციპალიტეტს ვერ მოერგო. დანერგე მომავლით ისარგებლა ზოგიერთმა და გააშენა ვენახი, მაგრამ უმეტესობამ ვერ ისარგებლა 5000 მ2 უნდა ჰქონოდა მოსარგებლეს მიწის ნაკვეთი და ჩვენი მცირემიწიანი მუნიციპალიტეტი ვართ ასეთ კრიტერიუმს ბევრი ვერ დააკმაყოფილებდა. არის კიდევ პროგრამები, სადაც ძალიან მკაცრია მოთხოვნები და ესაც არ არის მორგებული ჩვენს შესაძლებლობებზე, მარტო ცაგერზე არ ვსაუბრობ, მთლიანად, ოთხივე მუნიციპალიტეტში დგას ასეთი პრობლემები. დასახვეწია კრიტერიუმებიც გაცემის წესებიც. “

„მე ვფიქრობ პროექტების უმეტესობა, რომელიც ზემო რაჭაში ხორციელდება და ეკონომიკურ განვითარებას ემსახურება, არ ეფუძნება რეალურ სურათს რეგიონში.

ვიდრე პროექტს დაიწყებენ თითოეული მუნიციპალიტეტი უნდა აწვდიდეს მათ უტყუარ ინფორმაციას მოსახლეობის ეკონომიკისა და ბიზნესის შესაძლებლობების შესახებ და მხოლოდ მას მერე იწყებოდეს პროექტების განხორციელება, რა გამოდის, შეუსწავლელია პოტენციალი, ადგილობრივი ბიზნესის შესაძლებლობები და პირდაპირ 50%-იან თანამონაწილეობას გვთხოვენ. მე ვფიქრობ წინასწარ დეტალურად ინდა სწავლობდნენ სიტუაციას, რეგიონსა და კონკრეტულ მუნიციპალიტეტს უნდა არგებდნენ პროექტს და მხოლოდ მას მერე იწყებდნენ მის განხორციელებას. მაგალითად ერთ-ერთ პროექტს მოვიყვან, მართალია თანადაფინანსება აქ არ იყო საჭირო, მაგრამ არასწორი მოკვლევის მაგალითად გამოდგება. პროექტის კომპონენტი იყო საზღვრისპირა სოფლების ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა. საზღვრისპირა სოფლების სტატუსი ოფიციალურია და მუნიციპალიტეტს სწორედ ასეთი სტატუსის მქონე სოფლები უნდა გადაეცა პროექტის ინიციატორებისთვის, მაგრამ რა მოხდა? ისეთი სოფლების სიაც გადასცეს, რომლებსაც არ ჰქონდათ ეს სტატუსი მინიჭებული. გამოდის რომ ზერელედ მიუდგა მუნიციპალიტეტი და არამიზნობრივი სოფლების სიაც მიაწოდა პროექტის ავტორებს, ოფიციალური ინფორმაცია არ გადამოწმეს პროექტის ავტორებმა. მოხვდა პროექტში სხვა სოფლებიც, თუმცა შეიძლება ვქვათ რა პრობლემაა, მაგრამ გამოწვევა ნამდვილად არის, რადგან დონორი ხარჯავს ფულს სურს კარგი საქმე გაგვიკეთოს და ჩვენ არასწორ ინფორმაციას ვაწვდით. მე ვფიქრობ მოსახლეობის მიერ ბიზნესის წარმოების შესაძლებლობების სწორი ანალიზი რომ გაკეთებულიყო, USAID თანადაფინანსების პროცენტს დაწევდა და უფრო ხარისხიან პროექტებს დააფინანსებდა და არა მსხვილ მოთამაშეებს, ვისთვისაც 50% თანადაფინანსება არ არის შეუძლებელი."

„სამჯერ დავწერე „აწარმოეში" პროექტი ძალიან კარგი ადგილი და სახლი მაქვს მინდოდა მცირე სასტუმრო გამეკეთებინა და მიმეღო ტურისტები, მაგრამ შერჩევის ეტაპზე ვერ გადავდივარ. არადა, ისეთი სასტუმროები დააფინანსეს ლენტეხში იქ ტურისტი კი არა მე ვერ ავალ. მე მგონია, რომ მაინც არაობიექტურად ხდება შერჩევა. პირველ ჯერზე რამე თუ დავაკელი პროექტს, მეორე და შემდეგ ჯერზე ნამდვილად კარგად წარვადგინე პროექტი, მაგრამ არ დამაფინანსეს. არადა ნამდვილად იმუშავებს, არ ვართ განებივრებული ტურისტული ინფრასტუქტურით"

„მინდოდა შეტანა მე აწარმოე საქართველოში პროექტის, მაგრამ იმდენმა მითხრა არ მოგცემენ, ან წილში ჩაგიჯდებიან, ასე ისე, რომ აღარ მომინდა შემეტანა"

„მე მახსენდება აწარმოე საქართველოში, ეს ძირითადად საოჯახო სასტუმროებზე იყო გამოყოფილი. მე მაგალითად 5000 ლარით დამაფინანსეს. და საწოლები შევისყიდე ჩემი სასტუმროსთვის. მე ძალიან კმაყოფილი ვარ და ნელ-ნელ ვვითარდები, შემდეგ კიდევ მქონდა შეტანილი, მაგრამ არ დამაფინანსეს."

„ლენტეხი მცირემიწიანი მუნიციპალიტეტია, შესაბამისად ცოტაა წარმოებისთვის არსებული რესურსი. ლენტეხში ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ხე-ტყის წარმოებაა. ამ წარმოების შემდეგ ძალიან ბევრი ნარჩენი და ნახერხია, თუმცა ამ ჩამონაგანის გადამუშავება არ ხდება. არ არის ნარჩენების გადამუშავების მცირე საწარმო რაც შექმნიდა სამუშაო ადგილებს. რატომღაც ასეთი პროექტების დაფინანსება არ ხდება.

აწარმოე საქართველოს რომ მივმართოთ 30 000 ლარს გამოყოფს და სანაცვლოდ შენობა-ნაგებობა უნდა ავაშენოთ, ბევრ მოთხოვნას ვუპასუხოთ და მთელი ფული ბიზნესის ინფრასტრუქტურის მოწყობასაც არ ეყოფა. თან ძალიან ბევრი ბიუროკრატიული ბარიერიც არსებობს და შესაბამისად არავის უღირს ამდენ წვალებად. 30 000 დოლარი თუ გაკლდება წარმოების ასამუშავებლად ან უკვე არსებულის გასაფართოებლად კიდევ ღირს, მაგრამ ბიზნესის დასაწყებად არა“

ბიზნეს ინიციატივები, ბიზნესის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობას ბიზნესის წარმოების გამოცდილება აქვს. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ მათი უმრავლესობა თავს მაინც უმუშევრად თვლის. სავარაუდოა, რომ ქვეყანაში და დასაქმების თვით აღქმა სტერეოტიპულია და დასაქმებულად თავს მხოლოდ საჯარო სექტორში, მუდმივ ხელფასზე მყოფი მოქალაქეები თვლიან და არა ბიზნესის მფლობელები.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის წარმოებისთვის რეგიონს პერსპექტიულად მიიჩნევენ, ბიზნესის წარმოებაში ბევრ სირთულეს აწყდებიან. უკმაყოფილებას გამოთქვამენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესახებ. თვლიან, რომ სახელმწიფომ მატად უნდა იზრუნოს ბიზნესის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. მაღალმთიანი რეგიონები, კიდევ უფრო შეღავათიანი პირობებით უნდა სარგებლობდნენ ბიზნესის წარმოებისას. მათი აზრით, იაფი კრედიტი (ფულად სახსრებზე ხელმისაწვდომობა), ბიზნესის სუბსიდირება და გასაღების ბაზარზე ადგილობრივი პროდუქციის გატანის ხელშეწყობა მნიშვნელოვნად განავითარებდა რეგიონში ბიზნესს.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით ადგილობრივი ხელისუფლებაც უფრო ეფექტურად უნდა ახდენდეს ლოკალური ბიზნესის პოპულარიზაციას.

„მუნიციპალიტეტი არ ცდილობს პოპულარიზაცია გაუკეთოს ადგილობრივ ბიზნეს ინიციატივებს. ფესტივალებიც კი რომელიც ტარდება არაეფექტურია ერთდღიანი ღონისძიებით შეუძლებელია კლიენტის მოზიდვა. ზოგ შემთხვევაში მოწვეულებიც არა რელევანტურები არიან.

კარგი იქნებოდა, რომ სფეროს ექსპერტები/სპეციალისტების მოწვევა ხდებოდეს და ისინი დაინტერესდნენ ადგილობრივი პროდუქციით ახლა ასე არ ხდება. მესიჯები უნდა სწორად უნდა იყოს დასმული. რაჭა არ არის მხოლოდ ლობიანის და ლორის კუთხე, თითქოს ლობიანის და ლორის საჭმელად ჩამოდიან. ერთი დღის ნაცვლად

რამდენიმე დღე უნდა იყოს ფესტივალები და თემატურად ხდებოდეს პოტენციური კლიენტებისთვის პროდუქციის გაცნობა. მთის დღეები დაიორგანიზა მთავრობამ, მაგრამ ერთდღიანი იყო ესეც და არანაირად არ იყო ეფექტური.“

განუვითარებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ბიზნესის შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა.

„სამარშრუტო კვირაში ერთ დღეს მოდის ონში იმისთვის, რომ მოსახლეობამ პროდუქცია ჩამოიტანოს ბაზარში, ან ჩამოვიდეს ცენტრში საჭიროებებისთვის სხვა დღეებში რა ქნას მოსახლეობამ? მანქანით უნდა გადაადგილდეს ან უნდა იქირავოს ვისაც არ ჰყავს. მაგალითად ღებიდან ჩამოსვლა მინიმუმ 80 ლარი დაუჯდება მოსახლეობას, რა ნდა ჩამოიტანოს გასაყიდად ისეთი ეს ფასი აანაზღაუროს და მოგებაც დარჩეს.“

გამოითქვა უკმაყოფილება ბუნებრივი რესურსების განკარგვის წესების შესახებაც, რადგან ამან ხელი შეუშალა ადგილობრივი ტრადიციული ბიზნესის განვითარებას. ეს ხე-ტყის მოპოვებისა და გადამუშავების სფეროს ეხება.

„სოფელი წედის მცხოვრები ტრადიციულად ხის ხელოსნები არიან. ქართული სახლის ორნამენტი, სოფელში ვინც ვართ ყველას გამოგვდის ხელიდან. ხის მასალას არ გვანებებენ სახლში. ტყის ჭრისა და ხის ნედლეულის მოხმარების წესებია ძალიან ცუდი. ერთადერთი ლიცენზირებული კომპანიაა, რომელსაც შეუძლია ხე-ტყის მასალის გამოტანა, დანარჩენს ყველას გაუუქმდა. ვიცით რომ გადის ხე რეგიონიდან, მაგრამ ადგილზე მისი მოხმარება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მშენებლობისთვის ხე-ტყე რომ დაგჭირდეთ ძალიან ძნელად იშოვნით. მაგალითად ჩემს მამამთილი არის ხის ხელოსანი ამზადებს ხის კარს, ფანჯრებს, საწოლებს და ყველაფერს რაც შეიძლება ხით გააკეთოთ. მარაგი რომ ამოეწურა, იძულებული გახდა მიემართა სახელმწიფოსთვის, შეიქმნა ჯგუფი და შემდეგ აუქციონის წესით მიიღეს უფლება შეეძინათ გარკვეული რაოდენობის ხე-ტყე. თუმცა ამ მასალის დახერხვის უფლება მხოლოდ ერთ საამქროს აქვს, რომელსაც შეუძლია საბუთი გასცეს, რომ მასთან დაიხერხა კანონიერად მოჭრილი ტყე. ამის შემდეგ უკვე შეუძლია დაასაწყობოს და ნაკეთობები გააკეთოს. აქაც უცნაურ პრობლემას შეეჯახა. მხერხავის ნაკლებობაა და თავად უწევდა ამ ტყის დახერხვა რაც დროს ართმევდა ძირითად სამუშაოზე. ადრე მასაც ჰქონდა სახერხი, მაგრამ ჯერ მოსთხოვეს კამერები დაეყენებინა მონიტორინგისთვის, რომ ნამდვილად იმდენს ხერხავდა, რამდენის უფლებაც ჰქონდა, შემდეგ ეს კამერების აუცილებლობა გაუქმდა და ამდენი ზარალი ნახა. ახლა სხვას ახერხვინებს, რაც ძლიან უძვირებს მასალას, შესაბამისად იზრდება თვითღირებულება და საბოლოო ფასი იმატებს და გასაღებას ართულებს. პროცესი გასამარტივებლად, მე ასე ვფიქრობ. ასევე დიდი პრობლემაა მუშა ხელი კერძოდ ხის ხელოსანი. სულ ორი ადამიანი მუშაობს და ისინიც ასაკში არიან.“

ადგილობრივი ბიზნესის ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად პროფესიული განათლების არა პრესტიჟულობა, და შრომის ბაზართან არსებული პროგრამების შეუსაბამობა დასახელდა. იმისთვის, რომ ადგილობრივი ბიზნესი განვითარდეს, მას კვალიფიციური კადრის პოვნა ადგილზევე უნდა შეეძლოს. ბიზნესი თუ შექმნის სამუშაო ადგილებს და გაჩნდება კადრებზე მოთხოვნა, სამუშაო ძალაც შესაბამისი კვალიფიკაციის უნდა დახვდეს, რათა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არ შეიქმნას შეუსაბამობა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამ პრობლემის მოგვარების გზად პროფესიული და არაფორმალური განათლების პროგრამების განვითარებას მიიჩნევენ.

> ***„პროფესიული სასწავლებელი, რომელიც მორგებული იქნებოდა ადგილობრივ ტრადიციულ რეწვაზე არ არის. პროგრამები არ არის მორგებული ადგილობრივ შრომის ბაზარს და სტუდენტებს სთავაზობენ ბუღალტერიას, წელს დაამატეს ფითხი და ელექტიკოსობა. არ არის ელექტრიკოსი სხვა რეგიონიდან მოგვყავს არ არის აგრონომი ასევე მოგვყავს სხვა მუნიციპალიტეტიდან ან რეგიონიდან.“***
>
> ***„ერთგვარად ჩაკეტილი წრეა, არ უნდათ ხის ხელოსნობის სწავლა რადგან ვერ ხედავენ ამ მიმართულების პერსპექტივას და თუ წარმადობა არ ექნება მაღალი რომელიმე ბიზნესს, ის არ იქნება სტაბილური მიმწოდებელი და შესაბამისაც მხოლოდ საცალო შეკვეთებზე იმუშავებს. პროფესიული სასწავლებელი უნდა იყოს მორგებული ადგილობრივ შესაძლებლობებზე და მოამზადოს კადრები, სხვადასხვა პროექტის და სახელმწიფოს საშუალებით კი სფეროების შესახებ უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაცია და მოიზიდონ კლიენტები. შეუწყონ პოტენციურ გასაღების ბაზარზე გავიდნენ.“***
>
> ***„რაჭაში, სევე, როგორც მთელ ქვეყანაში დგას სწორი და გამოყენებადი პროფესიის არჩევის პრობლემა. ყველა სუპერპოპულარულ პროფესიებს აწყდება და ვერ ახერხებენ პროფესიით დასაქმებას და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ონში არ არის პროფესიის დაუფლების მრავალფეროვანი შესაძლებლობები და მთლიანად გვკარნახობს პროფესიის არჩევანს ქვეყანაში არსებული პოპულარული პროფესიები.“***

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებში ჩართვისთვის, მოსახლეობის მეტი ინფორმირებაა საჭირო. სასურველია ტრენინგების და სპეციალური კურსების შეთავაზება, მეწარმეობაში, ბიუჯეტირებისა თუ სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმების შესახებ. ასევე საჭიროა ინოვაციების შესახებ ინფორმაციების გაზიარება.

> ***„პოტენციალი არსებობს, ჩვენმა პროექტმა დაგვანახვა, რომ შეიძლება ისეთი ადამიანები პოვნა, ვინც გაბედავს და მაგალითი იქნება სხვებისთვისაც. ჩვენი ბენეფიციარების მიერ შექმნილი პროდუქცია უმთავრესად ონლაინ იყიდება, ეს გზა რეგიონის თავისებურებამ გვიკარნახა მსყიდველუნარინი მოსახლეობა ძირითადად სეზონურად გვყავს, შესაბამისად გასაღების ონლაინ ბაზარს ვირჩევთ. შესაძლებლობები უნდა დავანახვოთ ჩვენს მოსახლეობას. რამდენიმე ონლაინ***

ტრენინგიც შევთავაზეთ მათ, მაგრამ ინოვაციების შიში არსებობს და ვერ მოგვყვებიან, თუმცა ვთვლი რომ სიახლის შიში უნდა დავაძლევინოთ მოსახლეობას და ამაზე ძალისხმევა დავხარჯოთ".

მონაწილეთა აზრით, ბიზნესის განვითარებას ხელს მოსახლეობის დამოკიდებულებაც უშლის. მათ ჯერ კიდევ ეშინიათ დარეგისტრირდნენ, როგორც ბიზნეს სუბიექტი და ისე აწარმოონ საქმიანობა. შეაბამისად არარეგისტრირებული ბიზნესს ნაკლები შანსი აქვს მიიღოს მონაწილეობა მთელ რიგ ეკონომიკური გაძლიერების პროექტებში და პროგრამებში.

ბიზნეს ინიციატივების ხელისშემშლელად, ასევე სახელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი რიცხვი და არაგონივრული სოციალური პოლიტიკა. სოციალურად დაუცველთა ნაწილს, შესწევს უნარი აწარმოოს მცირე ბიზნესი, ან დასაქმდეს ბიზნესის სფეროში, მაგრამ სტატუსის მოხსნის შიშით არ იჩენს ინიციატივას და რჩება „სტაბილური სოციალური შემწეობის კომფორტში" ასეთი შემთხვევების სიმრავლე, საბოლოოდ თემის განვითარებასაც აფერხებს.

„მოსახლეობა ძალიან ინერტული გვყავს, ეზარებათ მუშაობაც და შესაბამისად აქტივობაც. მძიმე შრომა ყველას ეზარება და იოლად ფულის შოვნაზეა გადასულები. ურჩევნიათ მცირე საოჯახო სასტუმრო გააკეთონ და ელოდონ ტურისტულ სეზონს, ვიდრე არა ტურისტულ სეზონშიც რამე საქმით დაკავდნენ, მაგალითად პირუტყვს მოუარონ. სოციალურად დაუცველობის სტატუსმა მთლად გააფუჭა მოსახლეობა. ოღონდ სტატუსი არ მოეხსნათ და საქონელს არ იჩერებენ. სულ გაზარმაცდა მოსახლეობა. მაგალითად ერთ ოჯახს 5 ბავშვი ჰყავს და აქედან 4-ზე შემწეობას იღებს 250 ლარს თითო ბავშვზე. საკმაოდ სოლიდური თანხა გამოსდის სოფლის კვალობაზე და აღარ უღირს მძიმე საქმეს შეეჭიდოს და ამითაც კმაყოფილდება. ერთი ძროხა და ერთი დათესვა კარტოფილი მის ოჯახს ყოფნის და მეტზე აღარ ირჯება და არც არის გასაკვირი. რისთვის იყოლიოს მეტი საქონელი? მოეხსნება შემწეობა და სტაბილური შემოსავლისთვის, მეტი უნდა იშრომოს. ახლა დაიწყეს 300 ლარიანი სამუშაოების შეთავაზება, ჯერ ახალი პროცესია და ამიტომ ამ სქემის ავკარგიანობის შესახებ ვერაფერს ვიტყვი."

მონაწილეები თვლიან, რომ დაბალია მოსახლეობის შრომითი კულტურაც. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ კომპანია ბლაუმშტაინის მაგალითი მოიყვანეს ონში.

„პროექტი იყო ასეთი, ადგილობრივ ფერმერებს, ვინც დაინტერესდებოდა ამ საქონლის მოვლით, შეასწავლიდნენ მათ მოვლას, აუშენებდნენ სადგომს, შემოდიოდნენ საბანკო კრედიტში გრანტის სახით თანხას და 5 წლის განმავლობაში ფერმერს უხდიდნენ ხელფასს, შემდეგ ეს საქონელი მას დარჩებოდა. მაგრამ როგორც კი ამოიწურა ხელფასის ვადა და საკუთრებაში გადავიდა ფერმები, აღარ იმუშავებს ფერმერებმა და გაყიდეს ეს საქონელი. იძულებული გახდა ფირმა თავად შეესყიდა საქონელი. თბილისში აქვთ საკუთარი მაღაზია და აქ ორი ფერმა. საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ის სტანდარტი რომლის მიხედვითაც საქონლისთვის უნდა მოევლო ფერმერს, ძალიან მძიმე აღმოჩნდა ჩვენი

მოსახლეობისთვის, ყოველთვე ვეტერინარის მიერ საქონლის შემოწმების, მის ნამატზე თვალყურის დევნება ვერ შეძლეს და მძიმე შრომად ეჩვენათ. ამიტომაც დაიხურა ყველა ფერმა და დარჩა მხლოდ თავად ბლაიმშტაინის ფერმები და მცირე რაოდენობით ხორცს აწარმოებენ ახლა.“

ბიზნესის პერსპექტიული სფეროები რეგიონში

1. საქმიანობის პირველი სფერო, რაც ახსენდებათ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს ბიზნესის შესაძლო განვითარებაზე საუბრისას ეს ტურიზმია. ადგილებზე არის მცირე საოჯახო ტიპის სასტუმროები. მასთან დაკავშირებული ბიზნესი კვების ობიექტები და ა.შ.

   „კვების ობიექტები, რომლებიც დაეხმარებოდა სასტუმრო ბიზნესის განვითარებას, ძალიან ჭირს. დამსვენებლებს უჭირთ კაფეს, რესტორნის ჰოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესი სეზონური იქნება მაინც საჭიროა. სასტუმროებსაც კი უჭირთ თავისი ვიზიტორების მოთხოვნის დაკმაყოფილება, ერთი მზარეული ვერ წვდება ამდენ სტუმარს.“

2. ამბროლაურსა და ცაგერში ბიზნესის განვითარებისთვის პოტენციურ სფეროდ მევენახეობა და მეღვინეობაზე დასახელდა. ამ სფეროსაც უკავშირებენ ტურისტულ ბიზნესს და თვლიან რომ მცირე საოჯახო ტიპის მარნები კარგი დამატებითი შემოსავალის მომტანი იქნება სასტუმროს მფლობელებისთვის.
3. ონსა და ლენტეხში მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე სფეროდ ხე-ტყის წარმოება დასახელდა.
4. ბალნეოლოგიური და სამედიცინო ტურიზმის სფეროს პერსპექტიულად მიიჩნევენ მონაწილეები, თუმცა თვლიან, რომ ამ სფეროში დიდი ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო და მცირე პროექტები ასეთ სფეროს განვითარებას ვერ გასწვდება.
5. ყველა ფოკუს-ჯგუფზე განვითარების პოტენციალის მქონედ, მესაქონლეობა დასახელდა. ითვლება, რომ ეს რომ რეგიონისთვის ტრადიციული სფეროა.

   „რაჭაშიც და ქვემო სვანეთშიც მესაქონლეობა ყველამ იცის, ადამიანური რესურსი და კვალიფიკაცია მოიძებნება ადგილზე, იმისთვის, რომ ეს მომგებიან სფეროდ გადაიქცეს, თუმცა საჭიროა ამ სფეროს უფრო ჭკვიანური მხარდაჭერა. მესაქონლეობა ვიცით მაგრამ ხალხიც ძალიან გაზარმაცებულია. თქვენ სამოქალაქო აქტივობაზე დასვით კითხვები და მე მგონია მჭიდრო კავშირშია ბიზნეს ინიციატივები და სამოქალაქო აქტივობა ერთმანეთთან. პასიური ადამიანი, ვერც ბიზნესს განავითარებს და ვერც თემს“

6. პერსპექტიულად მიიჩნევენ, როგორც რაჭაში ისე ქვემო სვანეთში, მეფუტკრეობას, თაფლის წარმოებას.
7. ცაგერში, პერსპექტიულად მიიჩნიეს ნახერხის ბრეკეტების წარმოება. ეს ბიზნესი ერთის მხრივ წარმატებული იქნება, ხოლო მეორეს მხრივ მოსალოდნელ ეკოლოგიურ პრობლემებს ააცილებს მუნიციპალიტეტს. ცაგერს გაზი არ მიეწოდება და მოსახლეობა საწვავად შეშას იყენებს. ნახერხის ღუმელისთვის პრეკეტები ჩამოაქვთ თურქეთიდან, და

საწავავად იყენებენ. ხე-ტყის მასალლის გადამუშავების შემდეგ ადგილზე ბევრი საწარმო ნარჩენი აქვთ, რომლითაც შესაძლებელია საწვავისთვის ბრეკეტების წარმოებისთვის გამოიყენონ, თუმცა თვლიან, რომ ეს პროექტიც ბალნეოლოგიური და სამედიცინო ტურიზმის მსგავსად დიდ ინვესტირებას მოითხოვს.

8. ადგილობრივი გამოყენებითი რეწვიდან სვანური ქუდების და სვანური მარილის წარმოება დასახელდა.
9. მომსახურების სფეროს განვითარება და მხარდაჭერა პერსპექტიულად დასახელდა. ადგილობრივ ბაზარზე მომსახურებაზე დეფიციტია. ცოტაა სილამაზის სალონები, სახელოსნოები. ხალხი რეგიონის ცენტრში დადის თმის შესაჭრელად და დასავარცხნად. მაგალითად ფეხსაცმლის შეკეთების ერთი ხელოსანია ამბროლაურში, რომელიც ვერ აუდის საქმეს. იგივე მგდომარეობაა სამკერვალოებისა და ტანსაცმლის ატელიეს სფეროში. მოსახლეობა რიგში დგას ან იძულებულია სხვა მუნიციპალიტეტში წაიღოს შესაკეთებლად ფეხსაცმელი და გადასაკეთებლად ტანისამოსი.

შეჯამება:

ეკონომიკური პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმირებულია საზოგადოება. ასეთი პროექტების განხორციელებაზე დიდი მოთხოვნა და მათში ჩართვის მზაობაც არსებობს.

ეკონომიკური გაძლიერების პროგრამებისა და პროექტების მიმართ მთავარი მოთხოვნებია კონკურსების სამართლიანობა, თანადაფინანსების წილის შემცირება და პროცედურების გამარტივება.

ადგილობრივი ბიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეკონომიკურ გაძლიერებას, არამედ სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლებას და ადგილობრივი თემის განვითარებას.

რეგიონის პოტენციალის შესახებ ინფორმირებულია საზოგადოების ნაწილი, ხედავს შესაძლებლობებს, თუმცა სჭირდება მხარდაჭერა, როგორც ფინანსური, ასევე კომპეტენციის გაღრმავების მიმართულებით.

ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- **გადამამუშავებელი მრეწველობა;**
- **სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება;**
- **ტურიზმი, სასტუმრო და კვების ობიექტები;**
- **მომსახურება;**
- **ბალნეოლოგიური ტურიზმი;**
- **პროფესიული განათლება.**

ინფორმირებულობა ადგილობრივი განვითარების ჯგუფების შესახებ

ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) შესახებ მონაწილეებს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებიდან აქვთ. არაერთგვაროვანია LAG ების მიმართ მოლოდინებიც და ინფორმაციაც. მონაწილეთა ის ნაწილი, ვინც ესწრებოდა EMPARD_ის პროექტის ფარგლებში ინოვაციებისა და რეფორმების მიერ წარმოებულ შეხვედრებს გაცილებით ოპტიმისტურად უყურებდნენ Lag-ების სამომავლო პერსპექტივებს, ვიდრე ისინი, ვინც არ დასწრებია. ამ უკანასკნელთა უმეტესობამ არ იცოდა რა კონკრეტული საქმიანობა და რა წესით უნდა ეწარმოებინათ ადგილობრივი განვითარების ჯგუფებს.

მთლიანობაში მონაწილეთა უმეტესობა პოზიტიურ მოლოდინებს გამოთქვამს LAG-ების მომავალი საქმიანობის შესახებ, თუმცა მაინც სიფრთხილით უყურებს LAG ებში ბევრი ადამიანის გაწევრიანების პერსპექტივას. LAG -ის შიგნით წევრთა თანამშრომლობის შესახებ არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქვა. ერთნი თვლიან, რომ თანამშრომლობა Lag-ების წევრებს შორის შედგება და ეფექტურიც იქნება, ხოლო მეორე ნაწილი გამოთქვამს ეჭვს, რომ Lag-ის წევრებს შორის, თანამშრომლობას პრობლემები შეიქმნება, რადგან ზოგიერთი მსურველი, ნაკლებად იქნება ორიენტირებული საზოგადო სიკეთეების განვითარებაზე და ვიწრო მერკანტილური ინტერესების გატარებას შეეცდება.

მონაწილეებს შორის იყვნენ ადამიანები, ვინც აპირებდა LAG-ში გაწევრიანებას, ფოკუს-ჯგუფის განმავლობაშიც კი აგულიანებდნენ ერთმანეთს დარეგისტრირებულიყვნენ და გამოეთქვათ ჩართვის სურვილი, ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო ლენტეხის ფოკუს-ჯგუფზე იყო.

მონაწილეთა უმეტესობა თვლიდა, რომ LAG ები ძალიან მნიშვნელოვანი აქტორი გახდება ადგილობრივი პრობლემების მოგვარების, გრანტების მოზიდვის და რეგიონის პოპულარიზაციის საქმეში. ამიტომ, მასში გაწევრიანებაზე უარი არ უნდა თქვან ისეთმა კანდიდატებმა, ვისაც საზოგადოების მხრიდან მაღალი ნდობა და რეპუტაცია აქვს.

რაც შეეხება Lag-ების საქმიანობის ეფექტურობას, თვლიან, რომ თუ წინასწარ პასუხისმგებლობები იქნება განსაზღვრული, ვინ რა უნდა აკეთოს მაშინ LAG ების საქმიანობაც იქნება წარმატებული. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს LAG-ის არსი მოსწონთ იმის გამო, რომ მისმა საქმიანობამ საზოგადოებრივი სიკეთე უნდა მოიტანოს. თვლიან რომ ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების გაერთიანება, საბოლოო ჯამში თემს განავითარებს.

> ***„LAG -ების მიერ წამოჭრილ საკითხებს დაინახავს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელიც და შესაძლოა გაცილებით სხვა რაკურსით შეხედოს მუნიციპალიტეტში გასაკეთებელს საქმეებს და უფრო მეტად მოარგოს პრიორიტეტები ადგილობრივ საჭიროებებს.“***

ფოკუს-ჯგუფზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ LAG-ში არ იქნება ეფექტური, რადგან სპეციფიკა და პრიორიტეტები ძალიან განსხვავებულია. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნევენ რომ LAG ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეიქმნას.

შეჯამება:

LAG-ების შესახებ ინფორმირებულობა არცთუ მაღალია საზოგადოებაში, თუმცა მის მიმართ არსებობს დადებითი მოლოდინები.

LAG-ებში გაწევრიანების სურვილი აქვთ სამოქალაქოდ აქტიურ ადამიანებს და ხედავენ საკუთარ როლს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიმართულებით.

LAG-ებში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა გაერთიანებას ცალსახად დადებითად აფასებენ და თვლიან, რომ ასეთი გაერთიანება საუკეთესო მექანიზმი იქნება მოსახლეობის ინტერესების ადვოკატირებისთვის ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე.

რეკომენდაციები

სამოქალაქო აქტივობის გაძლიერებისთვის მიზანშეწონილია:

1. ჩატარდეს რეგულარული საინფორმაციო კამპანიები სამოქალაქო უფლებებისა და . მონაწილეობის მექანიზმების შესახებ.
2. შეიქმენას სპეციალური პროგრამები ახალგაზრდების ჩართულობის წასახალისებლად (მაგ., ახალგაზრდული საბჭოები, სტაჟირების პროგრამები).
3. ადგილობრივ აქტიურ ჯგუფების მხარდაჭერა რესურსებით და ტრენინგებით.
4. ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება (მაგ., მობილური აპლიკაციები) მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით მიზანშეწონილია:

5. ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვა (სოციალური მედია, SMS შეტყობინებები, ადგილობრივი მედია).
6. მობილური სერვისების განვითარება სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის.
7. ტრენინგების დაგეგმა და განხორციელება ელექტრონული სერვისების გამოყენებაში, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის.
8. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სოფლებში.

ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისთვის მიზანშეწონილია:

9. სპეციალური პროგრამების შემუშავება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომლებიც მორგებული იქნება ადგილობრივ საჭიროებებზე.
10. შეღავათიანი სესხებისა და გრანტების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით დამწყები მეწარმეებისთვის.
11. ინვესტირება კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში, მაგ: სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების განვითარებაში.

12. ბიზნეს ინკუბატორების და აქსელერატორების შექმნა რეგიონში.

პროფესიული განათლების განვითარებისთვის მიზანშეწონილია:

13. კამპანიები პროფესიული განათლების პრესტიჟის ასამაღლებლად.
14. პროფესიული განათლების პროგრამების შემუშვება ადგილობრივი ბიზნესების აქტიური ჩართულობით.
15. დუალური განათლების მოდელის დანერგვა, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ ადგილობრივ საწარმოებში.
16. მოკლევადიანი კურსების შემუშავება კონკრეტული უნარების სწრაფად შესაძენად.

LAG-ების განვითარება და მხარდაჭერისთვის მიზანშეწონილია:

17. ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ჩატარება LAG-ების შესახებ.
18. LAG-ების წევრების რეგულარული ტრენინგებით უზრუნველყოფა პროექტების მართვაში, ფონდების მოძიებაში და სტრატეგიულ დაგეგმვაში.
19. LAG-ების თანამშრომლობის ხელშეწყობა სხვა რეგიონებთან და ქვეყნებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.
20. LAG-ების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში.

ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა:

21. თანადაფინანსების მოთხოვნების შემსუბუქება და ადგილობრივ ეკონომიკურ რეალობას მორგება.
22. გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვა საგრანტო კონკურსებისთვის და დეტალური უკუკავშირის გამოქვეყნება.
23. საკონსულტაციო ცენტრების შექმნა, სადაც აპლიკანტებს დაეხმარებიან საპროექტო განაცხადების მომზადებაში.
24. წარმატებული პროექტების პრეზენტაციების ორგანიზება, რათა წაახალისოს სხვები.

დანართი 1. ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები/ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი

ცხრილი 46. კროსტაბულაცია ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები/ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი. კითხვა 7-8

		თქვენი შეფასებით როგორია თქვენი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და შემოსავლები?					**ჯამი**
		კარგი - შეგვიძლია ფულის დახარჯვა თავისუფლად	საშუალო - შეგვიძლია ყოველდღიური ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება	დამაკმაყოფილებელი - შეგვიძლია ყოველდღიური საჭიროებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება	ცუდი - შემოსავალი ან აღებული მოსავალი მხოლოდ კვებაზე გვყოფნის	ძალიან ცუდი - შემოსავალი კვებაზეც არ გვყოფნის	
როგორია თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი?	300 ლარამდე	0	5	9	25	2	**41**
	300-600 ლარამდე	0	28	43	140	3	**214**
	600-1000 ლარამდე	1	74	162	94	2	**333**
	1000-1500 ლარამდე	1	63	128	29	1	**222**
	1500 – 2000 ლარამდე	1	46	59	13	0	**119**
	2000 და მეტი	5	32	33	1	0	**71**
ჯამი		**8**	**248**	**434**	**302**	**8**	**1000**

დანართი 2 . დასაქმების სტატუსი / სოფლის / უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა.

ცხრილი 47. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი / სოფლის / უბნის პრობლემების მოგვარებაში ჩართულობა. კითხვა 6-12

დასაქმების სტატუსი	**რამდენად ჩართული ხართ სოფლის/უბნის პრობლემების მოგვარებაში**	**ჯამი**

	1 საერთოდ არ ვარ ჩართული, არ მაინტერესებს	2 იშვიათად ვერთვები	3 პერიოდულად ვერთვები	4 საკმაოდ ჩართული ვარ	5 ჩართული ვარ, ვთვლი რომ აქტიული მოქალაქე ვარ	
დასაქმებული სახელმწიფო სექტორში	139	94	142	37	41	**453**
დასაქმებული ბიზნეს სექტორში	77	27	25	5	7	**141**
სეზონურად დასაქმებული	2	6	1	3	1	**13**
უმუშევარი	58	15	33	8	18	**132**
თვითდასაქმებული არასასოფლო სამეურნეო სფერო	11	8	6	2	3	**30**
თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში	70	42	35	12	15	**174**
სტუდენტი	0	1	0	0	0	**1**
პენსიონერი	61	30	34	4	6	**135**
სხვა	9	1	1	2	1	**14**
ჯამი	**376**	**199**	**248**	**69**	**80**	**972**

დანართი 3. დასაქმების სტატუსი / ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება.

ცხრილი 48. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი / ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შეფასება. კითხვა 6 -16

დასაქმების სტატუსი	**როგორ შეაფასებდით თქვენს, გავლენას, ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე**					**ჯამი**
	1 არანაირი გავლენის მოხდენა არ შემიძლია	2 მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შემიძლია	3 მეტ-ნაკლებად შემიძლია გავლენის მოხდენა	4 ხშირად შემიძლია გავლენის მოხდენა	5 შემიძლია გავლენა მოვახდინო გადაწყვე	

		გავლენის მოხდენა			ტილებებ ზე	
დასაქმებული სახელმწიფო სექტორში	206	77	113	25	24	**445**
დასაქმებული ბიზნეს სექტორში	74	34	25	6	1	**140**
სეზონურად დასაქმებული	6	3	1	2	1	**13**
უმუშევარი	63	13	27	3	7	**113**
თვითდასაქმებული არასასოფლო სამეურნეო სფერო	18	9	1	1	0	**29**
თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში	103	26	25	5	8	**167**
პენსიონერი	74	17	26	6	4	**127**
სხვა	11	2	1	0	0	**14**
ჯამი	**481**	**163**	**200**	**44**	**42**	**930**

დანართი 4. დასაქმების სტატუსი/ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ

ცხრილი 49. კროსტაბულაცია დასაქმების სტატუსი/ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ კითხვა 6/25

		ინფორმირებულობა სახელმწიფო სერვისების შესახებ					
		სრულიად არაინფორმირებული	მცირედ ინფორმირებული	მეტნაკლებად ინფორმირებული	ძირითადად ინფორმირებული	სრულიად ინფორმირებული	ჯამი
დასაქმების სტატუსი	დასაქმებული სახელმწიფო სექტორში	16	75	153	120	90	454
	დასაქმებული ბიზნეს სექტორში	3	49	46	30	13	141
	სეზონურად დასაქმებული	0	3	9	1	0	13
	უმუშევარი	46	18	47	21	9	141

	თვითდასაქმებული არასასოფლო სამეურნეო სფერო	4	12	10	3	1	30
	თვითდასაქმებული სოფლის მეურნეობაში	6	65	65	20	18	174
	სტუდენტი	0	1	0	0	0	1
	პენსიონერი	36	18	61	24	11	150
	სხვა	1	2	5	6	2	16
ჯამი		107	206	355	203	128	**999**

დანართი 5. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე?

ცხრილი 49. რომელი სახელმწიფო ან მუნიციპალური სერვისით გისარგებლით ბოლო 6 თვის მანძილზე?

სახელმწიფო სერვისი	**სიხშირე**	**%**
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	304	30.4
დაბადების/გარდაცვალების მოწმობა	30	3.0
მოქალაქეობა/მიგრაცია	3	.3
ემიგრაციის ნებართვა	2	.2
საარქივო მომსახურება	48	4.8
მუნიციპალური სოციალური დახმარება	33	3.3
არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები	8	.8
ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები	80	8.0
პროფესიული მომზადების და დასაქმების მუნიციპალური პროგრამა	6	.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	72	7.2
მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	15	1.5
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები	54	5.4
სახელმწიფო სოციალური პროგრამები	36	3.6
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები	19	1.9
საკადასტრო სერვისები	173	17.3
საგანმანათლებლო დოკუმენტების მიღება/აღიარება	20	2.0
ნებართვები და ლიცენზიები	2	.2
ბიზნესის რეგისტრაცია	14	1.4
სანოტარო სერვისები	56	5.6
სააღსრულებო სერვისები (აუქციონო, გადახდისუნარიანობა, მევალეთა რეესტრი, ალიმენტი, იძულებითი აღსრულება და აშ)	5	.5

იურიდიული სერვისები (იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო სერვისები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა, სავალდებულო დაცვა, გადახდისუუნარო პირთა დახმარება და ა.შ)	5	.5
მართვის მოწმობა	27	2.7
იარაღის რეგისტრაცია	2	.2
შემოსავლების სამსახურის სერვისები	38	3.8
ჯარიმის გადახდა/კორექტირება	20	2.0
სოფლის მეურნეობის სერვისები (აგროსესხი, ექსტენცია, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახელმწიფო სუფსიდია და ა.შ)	4	.4
სახელმწიფო გრანტი/თანადაფინანსება	8	.8

დანართი 6. სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილება

ცხრილი 50. სახელმწიფო სერვისებით კმაყოფილება

სახელმწიფო სერვისი	**სიხშირე**	**საშუალო ქულა**
იარაღის რეგისტრაცია	2	5.00
სანოტარო სერვისები	56	4.68
დაბადების/გარდაცვალების მოწმობა	30	4.67
შემოსავლების სამსახურის სერვისები	38	4.63
საკადასტრო სერვისები	174	4.52
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	305	4.49
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები	19	4.47
საგანმანათლებლო დოკუმენტების მიღება/აღიარება	20	4.45
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	72	4.42
მართვის მოწმობა	27	4.41
პროფესიული მომზადების და დასაქმების მუნიციპალური პროგრამა	5	4.40
მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	15	4.33
ბიზნესის რეგისტრაცია	15	4.33
საარქივო მომსახურება	48	4.29
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები	54	4.17
სახელმწიფო სოციალური პროგრამები	37	4.14
არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები	8	4.13
ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები	80	4.08
მოქალაქეობა/მიგრაცია	3	4.00
ემიგრაციის ნებართვა	2	4.00

სააღსრულებო სერვისები (აუქციონო, გადახდისუნარიანობა, მევალეთა რეესტრი, ალიმენტი, იძულებითი აღსრულება და აშ)	5	4.00
იურიდიული სერვისები (იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო სერვისები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა, სავალდებულო დაცვა, გადახდისუუნარო პირთა დახმარება და ა.შ)	5	4.00
სოფლის მეურნეობის სერვისები (აგროსესხი, ექსტენცია, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახელმწიფო სუფსიდია და ა.შ)	4	4.00
ჯარიმის გადახდა/კორექტირება	19	3.89
სახელმწიფო გრანტი/თანადაფინანსება	9	3.89
მუნიციპალური სოციალური დახმარება	33	3.85
ნებართვები და ლიცენზიები	2	2.00

დანართი 7. სახელმწიფო სერვისის მიღების სიმარტივე

ცხრილი 52. სახელმწიფო სერვისის მიღების სიმარტივე

სახელმწიფო სერვისები	**სიხშირე**	**საშუალო ქულა**
სანოტარო სერვისები	57	4.49
შემოსავლების სამსახურის სერვისები	39	4.49
დაბადების/გარდაცვალების მოწმობა	31	4.48
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი	305	4.42
საკადასტრო სერვისები	174	4.40
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	73	4.27
საარქივო მომსახურება	49	4.22
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები	20	4.15
საგანმანათლებლო დოკუმენტების მიღება/აღიარება	21	4.14
მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერვისები	16	4.13
ბიზნესის რეგისტრაცია	15	4.07
ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები	55	4.00
პროფესიული მომზადების და დასაქმების მუნიციპალური პროგრამა	6	4.00
იარაღის რეგისტრაცია	3	4.00
ჯანდაცვის მუნიციპალური სერვისები	81	3.93
სახელმწიფო სოციალური პროგრამები	37	3.81
ჯარიმის გადახდა/კორექტირება	20	3.80
არქიტექტურულ-სამშენებლო მომსახურებები	9	3.56
მუნიციპალური სოციალური დახმარება	34	3.53
მოქალაქეობა/მიგრაცია	4	3.50
სააღსრულებო სერვისები (აუქციონო, გადახდისუნარიანობა, მევალეთა რეესტრი, ალიმენტი, იძულებითი აღსრულება და აშ)	6	3.50

იურიდიული სერვისები (იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო სერვისები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა, სავალდებულო დაცვა, გადახდისუუნარო პირთა დახმარება და ა.შ)	6	3.50
სოფლის მეურნეობის სერვისები (აგროსესხი, ექსტენცია, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახელმწიფო სუფსიდია და ა.შ)	5	3.40
მომსახურების სააგენტო	28	3.39
სახელმწიფო გრანტი/თანადაფინანსება	9	3.22
ემიგრაციის ნებართვა	3	2.33
ნებართვები და ლიცენზიები	3	1.67

დანართი 8. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურების ხარისხი

ცხრილი 51. სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურების ხარისხი

სახელმწიფო სტრუქტურა	**სიხშირე**
იუსტიციის სახლი	408
სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები	168
განათლება	35
საჯარო რეესტრი	30
მერია / მუნიციპალიტეტი	20
სოციალური სააგენტო	20
შსს მომსახურების სააგენტო	15
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	15
ნოტარიუსი	10
სამოქალაქო რეესტრი	5
შემოსავლების სამსახური	4
საბავშვო ბაღები	3
კომუნალური სამსახური	2
პოლიცია	2
საქსტატი	2
ამბროლაურის კეთილმოწყობის სამსახური	1
გარემოს დაცვა	1
თავდაცვა	1
ინფრასტრუქტურა	1
კულტურის სფერო	1
სასამართლო	1
სატყეო სამსახური	1
სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო	1
სპორტი	1
ტურიზმის განვითარების სააგენტო	1

დანართი 9. რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას ენდობით ყველაზე მეტად?

ცხრილი 52. რომელ სახელმწიფო ორგანიზაციას ენდობით ყველაზე მეტად?

სახელმწიფო სტრუქტურა	**სიხშირე**
იუსტიციის სახლი	305
ჯანდაცვის სამინისტრო	164
განათლება	54
ადგილობრივი თვითმართველობა	31
საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო	32
საჯარო რეესტრი	15
შსს	15
ნოტარიუსი	8
სოციალური სააგენტო	8
სასამართლო	6
პოლიცია	3
თავდაცვა	2
მთავრობა	2
საქსტატი	2
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	2
პრეზიდენტის აპარატი	1
პარლამენტი	1
პრემიერი	1
სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო	1
სატყეო სააგენტო	1
სახალხო დამცველი	1
სახელმწიფო დონორ ორგანიზაციებს	1
სკოლამდელი აღზრდა	1
სოფლის განვითარების სააგენტო	1
სპორტი	1
ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს	1
შემოსავლების სამსახურს	1
არც ერთს	70
მეტნაკლებად ყველას	32
არ ვიცი	28

დანართი 10. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით?

ცხრილი 53. მუნიციპალური / სახელმწიფო სერვისებიდან, რომლის გაუმჯობესებას ისურვებდით?

სერვისები	**სიხშირე**
ჯანდაცვის სერვისები	629
განათლება (ზოგადი განათლების)	182
ყველა სერვისი	72
შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი	36
შიდა გზების რეაბილიტაცია /სანიაღვრეების მოწესრიგება	28
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	24
წყალმომარაგების სერვისი	17
იუსტიციის მომსახურეობას	14
სოციალური პროგრამების/სოციალური სამსახურის	13
კანალიზაციის მოწყობა	12
ელექტროენერგიის მიწოდება	10
ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის კეთილმოწყობა, კვალიფიციური ექიმების ჯგუფით დაკომპლექტება	5
სოფლის მეურნეობის სერვისების	5
მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება	4
დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	3
შსს	3
საზოგადოებასთან ურთიერთობა	2
სასამართლო	2
საჯარო რეესტრი	2
სპორტი	2
სახელმწიფო სერვისების მთლიანად	2
სკოლამდელი აღზრდის ანაზღაურება	2
ბიზნესის რეგისტრაცია	1
გაზმომარაგება	1
გარე განათების	1
გარემოს დაცვის	1
კომუნალური მომსახურების	1
კულტურა	1
მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება	1
მოსახლეობის სრული ინფორმირება არსებული სერვისების წვდომაზე	1

მოსახლეობის ხელშეწყობა სამუშაო ადგილები	1
საარქივო მომსახურების	1
სამშენებლო მომსახურეობა	1
სასოფლო ინფრასტრუქტურა	1
სოფელის მეურნეობის სფერო	1
ელ,ენერგიის მოწოდება,ინტერნეტის ხარისხი	1
ურთიერთთანამშრომლობა	1
ქონების რეგისტრაციის	1
შემოსავლების სამსახური	1

დანართი 11. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო

ცხრილი 54. რა სერვისის საჭიროება არსებობს თქვენს თემში/სოფელში რომელსაც ვერ გაწვდით სახელმწიფო

	სიხშირე
შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება	161
ბუნებრი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფა	142
ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა (ექოსკოპიის აპარატი, ანალიზები, მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულები არ ქონა)	118
ინტერნეტი	96
საკანალიზაციო სისტემა	57
სანიაღვრეების მოწყობა	56
მუნიციპალური ტრანსპორტი	55
ნარჩენების გატანა/ურნის დადგმა/დროული დაცლა	52
აფთიაქი	34
გარე განათება	32
წყალი/სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება	31
სურსათის მაღაზია / ქსელური მარკეტი	30
ელ.ენერგია	26
ბანკების მომსახურება /საქართველოს ბანკი	21
ჩასარიცხი აპარატი	16
ბაღის შენობა	14

ბაზარი	10
იუსტიცია	10
ხიდი	10
ხილის მიმღები პუნქტები	10
დასაქმების პროგრამები	10
ტელევიზია / ტელევიზიის ანტენა	8
ჯებირების აშენება	7
ქვესადგური	6
სპორტული წრეები, სპორტული ინფრასტრუქტურა	6
სარწყავი წყლის მიწოდება	5
გელოგიური კვლევა	5
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	5
საშემოსავლო სამსახურის მომსახურეობა	5
იუსტიცია	4
შსს მომსახურების სააგენტოს სერვისი	4
ვეტერინარული მომსახურება	3
შიდა ტრანსპორტი	3
საცდელი	3
სამედიცინო სფეროს გაუმჯობესება/კვლევები/სათანადო სპეციალიზებული ჯანდაცვის მუშაკები	3
სასოფლო სამეურნეო ტექნიკა ხელმისაწვდომი ფასი	3
სოციალური დახმარება /სოციალური სამსახურის მოწესრიგება	3
თავშეყრის ადგილის მოწყობა	2
მომსახურების სააგენტო	2
ქუჩის ძაღლების თავშესაფარი/ გამრავლების კონტროლი	2
მიწის გაფორმება /საკუთარი მიწის არ დაკანონება	2
ნოტარიუსი / სანოტარო მომსახურება	2
პროფესიული განათლების განვითარება	2
სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ცენტრი	2
სოფლის კლუბი	2
სუპერმარკეტის ქსელი / ქსელური მაღაზია	2
ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესება	1
ავტომანქანის სადგომი კორპუსის ყველა მცხოვრებისთვის	1

ატრაქციონი ბავშვებისვის	1
ახალგაზრდებისთვის სივრცე	1
დაწოლილი პოლიციელი	1
დიდთოვლობის დროს გზის გაწმენდა	1
ეზოს შემოღობვა	1
ექსპერტიზის ბიურო	1
კულტურის სახლი	1
მაღალკვალიფიციური მასწავლებლები	1
მაღალტექნოლოგიური ჯანდაცვის კვლევები	1
მობილური ქსელები	1
მოსაცდელი	1
მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	1
მოხუცთა და შშმ პირთა პირობების გაუმჯობესება	1
მუნიციპალიტეტის უნდა ჰყავდეს საკუთარი მოსამართლე	1
მძიმე ავადმყოფებთან პენსიებისშინ მიტანის სერვისი	1
ნაპირსამაგრი ჯებირების აშენება	1
პირველადი დახმარება ექიმის მიერ	1
მრავალშვილიანი დედების დახმარება	1
საბავშვო ატრაქციონი	1
სახელოვნებო წრეები	1
სრულფასოვანი ბაზა ბავშვთა მკურნალობისთვის	1
უფასო ადვოკატთა მომსახურეობის სერვისი	1
შსს მომსახურების სააგენტოს სერვისი	1
ცხაურები	1
ხე ტყის გამოყენება გასათბობად	1

დანართი 12. ბიზნეს საქმიანობის სფეროები

ცხრილი 57. საქმიანობის სფეროები. სულ.

საქმიანობის სფერო	**სიხშირე**
განათლება	1
ტურიზმი	1
სილამაზის სალონი	1

ავტოტექმომსახურება	1
მეორადი ნივთების განახლება	1
სამკერვალო	1
სარიტუალო მომსახურეობა	1
სატრანსპორტო მომსახურება	1
ხეზე კვეთა	1
ხელნაკეთი აქსესუარების დამზადება, ტურისტული პროდუქტი	1
ხელოვნება	1